ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან და შპს „ქართული კვების კომპანიასთან“ კომუნიკაციის

სრული ფაქტობრივი მასალა

2003–2014

ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“
აპრილი, 2014 წ.
ქ. თბილისი

1. „ახალგაზრდა ადვოკატების“ შეთავაზება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინსტიტუციური დიალოგის ფარგლებში თანამშრომლობაზე და სამინისტროს პოზიცია

2013 წლის 31 ივლისს, მათ შორის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პროექტ: „ინსტიტუციური დიალოგი აღმასრულებელ, საკანონმდებლო, სასამართლო ხელისუფლებასთან“ ფარგლებში, თანამშრომლობის შესახებ წერილით მიმართა. ორგანიზაციამ მიუთითა, რომ ინიციატივა 2013 წლის 1 აგვისტოდან დაიწყებოდა იქნებოდა მუდმივი პროცესი, სადაც საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, სხვა სამინისტროებთან ერთად, მონაწილეობას მიიღებდა.

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“, 2013 წლის აგვისტო–სექტემბრის შუალედში, სამინისტროსთან არაერთი სატელეფონო კომუნიკაცია განახორციელეს, რათა სამინისტროს პირველ პირებთან დაკავშირებით, შეხვედრა შემდგარიყო, თუმცა ამაოდ.

2013 წლის 16 სექტემბერს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს #18/405 წერილის თანახმად, „ახალგაზრდა ადვოკატებს“ 2013 წლის 31 ივლისის წერილზე, პროექტ „ინსტიტუციური დიალოგი აღმასრულებელ, საკანონმდებლო, სასამართლო ხელისუფლებასთან“ ფარგლებში თანამშრომლობის წინადადებაზე ეცნობა, რომ სამინისტრო ორგანიზაციის არასამთავრობოთა სამუშაო ჯგუფში ჩართულობას უზრუნველყოფდა.

2013 წლის 18 სექტემბერს „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ განცხადებით მიმართეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საზოგადოებრივ საქმეთა დეპარტამენტის უფროსს და ინსტიტუციური დიალოგის შესაძლებლობები კიდევ ერთხელ პოზიტიურად შეაფასეს. ამასთან, ორგანიზაციამ განაცხადა, რომ სამინისტროს უახლეს პერიოდში მიწვდიდა ინფორმაციას არასამტავრობოთა ჯგუფში ორგანიზაციის სახელით წარდგენილი კანდიდატების შესახებ. მოგვიანებით, სამინისტროს საზოგადოებრივ საქმეთა დეპარტამენტთან სატელეფონო კომუნიკაცია შედგა და ორგანიზაციის სახელით სამუშაო ჯგუფში კანდიდატად დასახელდა იურისტი ლევან ბერაძე, ვინაიდან ლევან ბერაძეს გააჩნდა საკითხის მიმართ ჩართულობის გამოცდილება და აქტიურად იღებდა მონაწილეობას კომპანია „ქართული კვების“ ეგიდით შექმნილ არასამთავრობო ორგანიზაციათა შემადგენლობაში. სამწუხაროდ, ლევან ბერაძე სამინისტროს არც ერთ შეხვედრაში არ მიუწვევია.

2. „ახალგაზრდა ადვოკატებისა“ და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კომუნიკაცია

2013 წლის 31 ივლისს, „ახალგაზრდა ადვოკატებმა“, თემაზე: „სამხედრო მოსამსახურეების კვებით უსაფრთხოებაში პრობლემებია“ პრესკონფერენცია გამართეს. ორგანიზაციამ ყურადღება გაამახვილა ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტებზე გორში, ვაზიანსა და ფოთის სამხედრო ნაწილებში. ასევე, საკვები პროდუქტებით მოწამვლის გაუხმაურებელ შემთხვევაზე სენაკის სამხედრო ბაზაზე. ორგანიზაციამ მიუთითა, რომ სენაკის ბაზაზე მოიწამლა 52 ჯარისკაცი. შემთხვევა 2013 წლის 25 ივლისს მოხდა.

2013 წლის 31 ივლისს, „ახალგაზრდა ადვოკატება“ განცხადებით მიმართეს საქართველოს თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას და მოითხოვეს შემდეგი სახის ინფორმაციაზე საჯარო უწყების გამოხმაურება:

1. ადასტურებს თუ არა საქართველოს თავდაცვის სამინისტრო 2013 წლის 25 ივლისს, სენაკის სამხედრო ბაზაზე ჯარისკაცების მოწამვლის შემთხვევას? ასეთი ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, რა რეაგირების მოხდენას აპირებს სამინისტრო?
2. გთხოვთ, მოგვეწოდოს ინფორმაცია, რომელი კონტრაქტორი კომპანიები რომელ სამხედრო ბაზებს უზრუნველყოფენ კვებითი მომსახურებით?
3. გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია, კომპანია „ქართული კვების“ რომელ სამხედრო ბაზებს უზრუნველყოფს კვებითი მომსახურებით, რა პერიოდიდან და რამდენს შეადგენს კომპანიის მიერ შეიარაღებული ძალების საკვებით უზრუნველყოფისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი?
4. აპირებს თუ არა საქართველოს თავდაცვის სამინისტრო კვებით მომსახურებაზე ტენდერის გამოცხადებას (გნებავთ, გაგრძელებას, აღდგენას, განახლებას)
5. სამხედრო მოსამსახურეთა არანორმირებული კვების სისტემის დატოვება, სამინისტროს საბოლოო გადაწყვეტილებაა თუ დროებითი გარემოება. რა ცვლილებები იგეგმება ამ მიმართულებით.

2013 წლის 17 აგვისტოს, „ახალგაზრდა ადვოკატებმა“, თემაზე: „თავდაცვის სამინისტროში საკადრო და სუსტემური პრობლემები გრძელდება“, პრესკონფერენცია გამართეს. ორგანიზაციამ გაახმაურა სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახის წევრების მხრიდან მიღებული ინფორმაცია, გორის სამხედრო ბაზაზე დისლოცირებულ ვაშლიჯვრის სპეცნაზმის მოსამსახურეებში, ჩუტყვავილას მასობრივ გავრცელებასა და მის არასწორ მკურნალობაზე. ამასთან, ორგანიზაციამ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართა, რათა უწყების ყველაზე მნიშვნელოვანი – უსაფრთხოების დაცვა სწორი საკადრო პოლიტიკით უზრუნველეყო. ორგანიზაციის პოზიციით, ამ თვალსაზრისით, პასუხს საჭიროებდა საკადრო პოლიტიკა სამხედრო პოლიციაშიც, ვინაიდან გავრცელებული ინფორმაციით, სწორედ სამხედრო პოლიციაში გახლდათ თავმოყრილი კუდ–ისა და სოდ–ის ყოფილი თანამშრომლებით. ორგანიზაციამ, საკითხზე ინფორმაციის წყაროდ, 2013 წლის 9 აგვისტოს, გაზეთ „რეზონანსში“გამოქვეყნებულ პუბლიკაცია დაასახელა.

2013 წლის 19 აგვისტოს, „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ განცხადებით მიმართეს საქართველოს თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას და მოითხოვეს გორის სამხედრო ბაზაზე დისლოცირებულ ვაშლიჯვრის სპეცნაზმის მოსამსახურეებში ვირუსული დაავადებების მკურნალობის მიმართ დაშვებული შეცდომების გამომწვევი მიზეზების დადგენა. აგრეთვე, გაზეთ „რეზონანსში“ გამოქვეყნებული სტატიის სინამდვილის შესახებ დეტალური ინფორმაცია. ორგანიზაციამ, მინისტრს, 2013 წლის 19 აგვისტოს გაგზავნილი წერილითაც კიდევ ერთხელ სთხოვა, სენაკის სამხედრო ბაზაზე, 52 ჯარისკაცის საკვებით მოწამვლის

შესახებ მიმდინარე გამოძიების შესახებ ინფორამციის მოწოდება, რომელიც სამინისტროს, 2013 წლის 19 აგვისტოს მდგომარეობით, პასუხგაუცემელი ჰქონდა.

2013 წლის 23 აგვისტოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს #7/2940 წერილის თანახმად, „ახალგაზრდა ადვოკატებს" 2013 წლის 31 ივლისს მოთხოვნილ ინფორმაციაზე ეცნობა, რომ „სენაკის სამხედრო ბაზაზე 2013 წლის 25 ივლისს ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. დანიშნულია ექსპერტიზა და მიმდინარეობს გამოძიება. საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ განცხადების მე–2, მე–3 და მე–4 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციაზე, ორგანიზაციას უპასუხა, რომ „მოთხოვნილი ინფორმაციის გარკვეული ნაწილი წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებში დაცულ და ერთმანეთთან დაუკავშირებელ ცალკეულ მონაცემებს. რომელთა მოძიება და დამუშავება საჭიროებს გარკვეულ დროს." სამინისტრომ აღნიშნული ინფორმაციის დამატებით მოწოდების პირობა უახლოესი მომავლისთვის დადო.

2013 წლის 17 სექტემბერს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს #7/3082 წერილის თანახმად, „ახალგაზრდა ადვოკატებს" 2013 წლის 31 ივლისისა და 2013 წლის 23 აგვისტოს მიმართვების საპასუხოდ ეცნობა, რომ „საქართველოს შეიარაღებული ძალების კვებით უზრუნველყოფას ძირითადად ანხორციელებს შპს „ქართული კვების კომპანია", ხოლო ცალკეულ დანაყოფებში, შპს „ელფი". რაც შეეხება სამხედრო ნაწილების დასახელების მოწოდებას, „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" საქართველოს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 21 იანვრის #42 ბრძანებულების მოთხოვნებიდან გამომდინარე, არ წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას. შპს „ქართული კვების კომპანია" 2011 წლის ივლისიდან ანხორციელებს სამხედრო ნაწილებში კვებით უზრუნველყოფას საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულებებით გათვალისიწნებული თანხების ფარგლებში. ამასთან, საქართველოს თავდაცვის სამინისტროში, სამომავლოდ იგეგმება კვების მომსახურების შესყიდვა ტენდერის საშუალებით".

2013 წლის 28 სექტემბერს, „ახალგაზრდა ადვოკატებმა", თემაზე: „თავდაცვის სამინისტრო ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტებზე კვლავ სდუმს", პრესკონფერენცია გამართეს და გამოეხმაურნენ, 16–22 სექტემბრის შუალედში, 330 ჯარისკაცს მოწამვლას 31–ე ქარხნის ტერიტორიაზე არსებულ ბრიგადაში, მე–11 ბრიგადასა და საინჟინრო ბრიგადაში. ორგანიზაციამ მიუთითა, რომ მართალია, კომპანია „ქართული კვების" მენეჯმენტი შეიცვალა, რომელიც თავდაცვის სფეროში კვებითი უზრუნველყოფის მიმართულებით, ერთ–ერთი მთავარი კონტრაქტორია, თუმცა სამხედრო მოსამსახურეების საკვები პროდუქტებით მოწამვლის ფაქტი კვლავ სისტემურ პრობლემად რჩება.

2013 წლის 28 სექტემბერს, „ახალგაზრდა ადვოკატებმა" განცხადებით მიმართეს საქართველოს თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას და მოითხოვეს:

1. რა გარემოებებში მოხდა 31–ე ქარხნის ტერიტორიაზე არსებულ ბრიგადაში, მე–11 ბრიგადასა და საინჟინრო ბრიგადაში ჯარისკაცების მოწამვლა და მიმდინარეობს თუ არა ფაქტზე შიდაუწყებრივი მოკვლევა?

2013 წლის 18 ოქტომბრის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს #2 13 00001337 წერილის თანახმად, „ახალგაზრდა ადვოკატებს" 2013 წლის 28 სექტემბრით მოთხოვნილ ინფორმაციაზე ეცნობა, რომ საკითხზე სამინისტროს საკუთარი პოზიცია უკვე გააჩნდა და დაინტერესებულ ყველა პირს, შესაძლებლობა ჰქონდა ოფიციალურ ვებ–გვერდზე ფაქტთან დაკავშირებულ განცხადებას გასცნობოდა.

2013 წლის 7 ოქტომბერს, „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ თემაზე: „თავდაცვის სამინისტროს ლოჯისტიკის უსაფრთხოების ძირეულ კონტროლს მოითხოვს“ პრესკონფერენცია გამართა და სამინისტროსგან 1) სენაკის სამხედრო ბაზაზე, ივლისის თვეში 52 ჯარისკაცის მოწვლის 2) 16–22 სექტემბრის შუალედში, 31–ე ქარხნის ტერიტორიაზე არსებულ ბრიგადაში, მე–11 ბრიგადასა და საინჟინრო ბრიგადაში 330 ჯარისკაცის მოწამვლისა და ბოლოს შემთხვევის, 3) ვაზიანის სამხედრო ბაზაზე, I ქვეით ბრიგადაში კვებითი ინტოქსიკაციით 20 სამხედრო მოსამსახურის მოწამვლის ფაქტებთან დაკავშირებით, გამოძიების დაჩქარება მოითხოვა. ამასთან, ორგანიზაციამ გაასაჯაროა კითხვები, რომელიც „ქართული კვების კომპანიის“ მიმართ იქნა გაგზავნილი:

1. **რა პრობლემები მოაგვარა ან ვერ მოაგვარა კომპანია „ქართული კვების“ ახალმა მენეჯმენტმა?**

2. **რამდენად შეძლო კომპანიამ პრიორიტეტად გამოცხადებული კვების ხარისხის ზრდა და მუშა პროცესების შეპირებული მმართვა?**

3. **რამდენად სრულყოფილად მოხდა დაპირებული სასადილოების პერსონალის ინდივიდუალური საქმეების შესწავლა და რა საკადრო ცვლილებები განხორციელდა ამ მიმართულებით?**

4. **რომელ საჯარისო ნაწილებში დაასრულდა სასადილოების რემონტი, რა პერიოდი დასჭირდა თითოეული სასადილოს მოწესრიგებას?**

5. **ვის მიერ და რა პერიოდულობით მოწმდება შინაგანაწესი, რომელიც პერსონალს მაღალ ჰიგიენურ სტანდარტს ავალდებულებს, გამოვლინდა თუ არა გადაცდომები ასეთი შესაძლო კონტროლის პროცესში?**

6. **რა კონტროლის მექანიზმია ჩართული საკვები პროდუქტების ვარგისიანობის შესამოწმებლად? მონაწილეობს თუ არა კონტროლის მექანიზმში საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტო?**

7. **რამდენად მაღალი ჰიგიენური სტანდარტებით გამოირჩევა ადგილები, სადაც დასაწყობებული სკავები პროდუქტები ინახება?**

8. **რა ღირებულების შესყიდვებს ანხორციელებს „ქართული კვების კომპანია?“**

2013 წლის 17 ოქტომბერს, „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ სპეციალური განცხადება გაავრცელეს და ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტების გამოძიებისთვის, მთავარ პროკურატურას მიმართეს.

2013 წლის 18 ოქტომბერს, „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ სპეციალური განცხადება გაავრცელეს და საქართველოს პრემიერ–მინისტრ ბიძინა ივანიშვილის, თავდაცვის მინისტრისა და თავდაცვის სამინისტროს განცხადებებს უპასუხეს. ორგანიზაცია გამოეხმაურა ბიძინა ივანიშვილის განცხადებას, რომელმაც მედიის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე განაცხადა, რომ გაუგებარია, რა მოსაზრებით ადევს გრიფით საიდუმლო ჯარისკაცების მოწამვლის საქმეებს. ორგანიზაციამ საქმეებზე „გრიფით საიდუმლოს“ დადების შესახებ, სწორედ მედიასთან პრემიერის შეხვედრის შემდეგ გაიგო. შესაბამისად, „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ საქართველოს თავდაცვის მინისტრს მიმართეს, უფრო მეტი გამჭვირვალობა უზრუნველყო საქმეების გამოძიების მიმართ.

2014 წლის 4 აპრილს, „ახალგაზრდა ადვოკატებმა“, თემაზე: „თავდაცვის სამინისტრომ ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტებს „გრიფით საიდუმლო“ უნდა მოხსნას, ხოლო ტენდერები გამჭვირვალე გახადოს“ პრესკონფერენცია გამართა და სამინისტროს, შეიარაღებულ ძალებში, ჯარისკაცების საკვებით მოწამვლის ფაქტებზე, „გრიფით საიდუმლოს“ მოხსნა მოსთხოვა. ამასთან, ორგანიზაციამ ყურადღება გაამახვილა მედიაში გავრცელებულ ინფორმაციაზე, რომლის თანახმადაც, 2014 წლის მანძილზე, შეიარაღებულ ძალებში, სხვადასხვა ქვეით ბრიგადაში, 200–ზე მეტი ჯარისკაცი მოიწამლა. ორგანიზაციამ მინისტრს თავდაცვის სფეროში გამოცხადებული ტენდერების გამჭვირვალობაზეც მიმართა და მოითხოვა განმარტებები, რამდენად არსებობს შერჩევითი პრინციპი, როდესაც ტენდერებში გამარჯვებული კომპანიის ხელმძღვანელი პირები მინისტრთან დაახლოებული პირები არიან.

2014 წლის 8 აპრილს, „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ საქართველოს მთავარ პროკურატურას განცხადებით მიმართეს და შემდეგ საკითხებზე ინფორმაცია მოითხოვეს:

1. **საქართველოს მთავარ პროკურატურაში, მიმდინარეობს თუ არა საქართველოს თავდაცვის სამინისტროში, 2013–2014 წლის განმავლობაში, ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტებთან დაკავშირებით, გამოძიება?**
2. **რა ეტაპზეა გამოძიების მიმდინარეობა და რა გონივრულ ვადებს საჭიროებს პროკურატირა ბრალის გამოკვეთისთვის ან/და საქმეზე შედეგების გაცნობისათვის?**
3. **საქართველოს მთავარ პროკურატურაში, მიმდინარეობს თუ არა საქართველოს თავდაცვის სამინისტროში, 2013–2014 წლების პერიოდში გამოცხადებული სახელმწიფო ტენდერების კანონიერების შესწავლის საკითხი. რა ეტაპზეა, ამ მიმართულებით, კომპანია „დელტაკომის“ საქმე?**

2014 წლის 8 აპრილს, საქართველოს თავდაცვის მინისტრმა, ირაკლი ალასანიამ, მათ შორის „ახალგაზრდა ადვოკატების“ მხრიდან ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტებზე განცხადებები დისკრედიტაციის მიზანმიმართულ კამპანიად შეაფასა.

2014 წლის 09 მაისს, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ #13/29631 წერილით, ორგანიზაციას 08/04/14 წერილის საპასუხოდ აცნობა, რომ „საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს თავდაცვის სამინისტროში, 2013-2014 წლებში, ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტთან დაკავშირებით. წინასწარი პროგნოზირება იმისა, თუ რა ვადა იქნება საჭირო ბრალის გამოსაკვეთად, გამოძიების ამ ეტაპისთვის, შეუძლებელია. საქართველოს მთავარ პროკურატურაში, ასევე მიმდინარეობს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ, 2013-2014 წლებში გამოცხადებული სახელმწიფო ტენდერების კანონიერების საკითხის შესწავლა. რაც შეეხება კომპანია „დელტაკომი“-ს საქმეს, აღნიშნული კომპანიის განცხადებას ადევს გრიფი „საიდუმლო“. შესაბამისად, მოკლებული ვართ შესაძლებლობას, მოგაწოდოთ ინფორმაცია.“ (სტილი დაცულია)

3. „ახალგაზრდა ადვოკატებისა“ და „ქართული კვების კომპანიის“ კომუნიკაცია

2013 წლის 20 ნოემბერს, „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ განცხადებით მიმართეს შპს „ქართული კვების კომპანიას“ და შემდეგ საკითხებზე ინფორმაციის მომზადება მოითხოვეს:

1. რა პრობლემები მოაგვარა ან ვერ მოაგვარა კომპანია „ქართული კვების“ ახალმა მენეჯმენტმა?
2. რამდენად შეძლო კომპანიამ პრიორიტეტად გამოცხადებული კვების ხარისხის ზრდა და მუშა პროცესების შეპირებული მმართვა?
3. რამდენად სრულყოფილად მოხდა დაპირებული სასადილოების პერსონალის ინდივიდუალური საქმეების შესწავლა და რა საკადრო ცვლილებები განხორციელდა ამ მიმართულებით?
4. რომელ საჯარისო ნაწილებში დაასრულდა სასადილოების რემონტი, რა პერიოდი დასჭირდა თითოეული სასადილოს მოწესრიგებას?
5. ვის მიერ და რა პერიოდულობით მოწმდება შინაგანაწესი, რომელიც პერსონალს მაღალ ჰიგიენურ სტანდარტს ავალდებულებს, გამოვლინდა თუ არა გადაცდომები ასეთი შესაძლო კონტროლის პროცესში? (არ ვგულისხმობთ მხოლოდ ოსიაურის ფაქტს)
6. რა კონტროლის მექანიზმია ჩართული საკვები პროდუქტების ვარგისიანობის შესამოწმებლად? მონაწილეობს თუ არა კონტროლის მექანიზმში საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტო?
7. რამდენად მაღალი ჰიგიენური სტანდარტებით გამოირჩევა ადგილები, სადაც დასაწყობებული სკავები პროდუქტები ინახება?
8. რა ღირებულების შესყიდვებს ანხორციელებს „ქართული კვების კომპანია?“
9. გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია შპს „ქართული კვების კომპანიის“ განახლებული მენეჯმენტის შემადგენლობის შესახებ.

2013 წლის წლის 3 დეკემბერს, შპს „ქართული კვების კომპანიის“ 03/0312 წერილის თანახმად, „ახალგაზრდა ადვოკატებს“ 2013 წლის 20 ნოემბრით დასმულ საკითხებზე ეცნობა, „რაც შეეხება ბოლოდროინდელ ისტერიას მასობრივი მოწამვლების შესახებ, არც ერთ შემთხვევას მასიური ხასიათი არ ჰქონდა, რამდენიმე ერთეულს გამოუვლინდა მსუბუქი ფორმის დიარეა და ჯარისკაცები მეორე დღესვე შეუდგნენ ჩვეულ რეჟიმს“. ამასთან, ორგანიზაციამ წერილით დასმულ საკითხებზე, ამომწურავი გამოხმაურება მიიღო.

2013 წლის 20 ნოემბერს, „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ განცხადებით მიმართეს შპს „ქართული კვების კომპანიას“ და გამოთქვა დაინტერესება, ორგანიზაციას შეესწავლა 2013 წლის 13 ნოემბერს, ოსიაურის საწვრთნელ ბანაკში მომხდარი ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტი, რომლის მიმართაც, საზოგადოებაში არსებობს მხოლოდ ერთი მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, სამხედროების მოწამვლა დაკავშირდა მზარეულის დაუდევრობასთან საკვების მომზადების დროს. ორგანიზაციის ინტერესი დაეყრდნო შპს „ქართული კვების კომპანიის“ მიერ გავრცელებულ განცხადებას, სადაც აღინიშნა, რომ „გამოძიების პირველადი მონაცემებით იკვეთება მზარეულის დაუდევრობა საკვების მომზადებისას. მზარეული, რომლის დაუდევრობაც იკვეთება, „ქართული კვების კომპანიიდან" უკვე დათხოვნილია“. ორგანიზაციამ კომპანიისგან შემდეგი სახის ინფორმაცია მოითხოვა:

1. შპს „ქართული კვების კომპანიიდან“ გათავისუფლებული მზარეულის ვინაობა – სახელი, გვარი, ასაკი და საკონტაქტო ტელეფონი

2. შპს „ქართული კვების კომპანიას“ გათავისუფლებულ მზარეულთან გაფორმებული ხელშეკრულების დადების თარიღი და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

3. ინფორმაცია, თუ რა დაუდევრობის ფაქტს ჰქონდა ადგილი, რომლის საფუძველზეც, კომპანიამ მიიღო მზარეულთან ხელშეკრულების შეწყვეტის გადაწყვეტილება?

2013 წლის წლის 3 დეკემბერს, შპს „ქართული კვების კომპანიის“ 03/0312 წერილის თანახმად, „ახალგაზრდა ადვოკატებს“ 2013 წლის 20 ნოემბრით დასმულ საკითხებზე ეცნობა, რომ „მზარეულის გათავისუფლება მოხდა სადილის მომზადების წესის დარღვევის გამო.“ ამასთან, ორგანიზაციამ მიიღო მოთხოვნილ ინფორმაციაზე პასუხი.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ სამოქალაქო ადვოკატირების ჯგუფი, დამოუკიდებელი წყაროს მეშვეობით მიღებული საკონტაქტო ინფორმაციის საშუალებით, დაუკავშირდა სამინისტროდან დათხოვნილ მზარეულ გიორგი ფიცხელაურს და სასამართლო ინსტანციელში წარმომადგენლობა შესთავაზა, თუმცა გიორგი ფიცხელაურმა წარმომადგენლობაზე უარი განაცხადა.

„ახალგაზრდა ადვოკატებისა“ და „ქართული კვების კომპანიის“
კომუნიკაცია

ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

ღირსება
თავისუფლება
თანასწორობა

Non-Profit Human Rights NGO Young Barristers

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "ახალგაზრდა ადვოკატები" www.barristers.ge

ა.ა. #312

შპს „ქართული კვების კომპანიას"

ა/ო „ახალგაზრდა ადვოკატები"
თბილისი, საბურთალო, ვაზისუბნის ქუჩა #7

მ ი მ ა რ თ ვ ა

ა/ო „ახალგაზრდა ადვოკატები" დაინტერესებულები ვართ თავდაცვის სამინისტროს ლოჯისტიკის სფეროში არსებული მდგომარეობის შესწავლითა და სამწუხაროს ვუწოდებთ ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტებს, რომელიც ბოლო ოთხი თვის განმავლობაში, სხვადასხვა საჯარისო ნაწილში დაფიქსირდა. მართალია, შპს „ქართული კვების კომპანიის" მენეჯმენტი შეიცვალა, რომელიც თავდაცვის სფეროში კვებითი უზრუნველყოფის მიმართულებით, ერთ–ერთი მთავარი კონტრაქტორია, თუმცა სამხედრო მოსამსახურეების მოწამვლის ფაქტები კვლავ რეალობაა. 2013 წლის 13 ნოემბრის ოსიაურის საწვრთნელ ბანაკში მომხდარი ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტმა კიდევ ერთხელ გამოკვეთა თქვენი კომპანიის პასუხისმგებლობის საკითხი. სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით ცნობილი გახდა, რომ შესაძლებელია, შპს „ქართული კვების კომპანიასთან" სახელმწიფომ სახელშეკრულებო ურთიერთობები დაასრულოს.

„ახალგაზრდა ადვოკატები" მოგმართავთ თხოვნით, რათა მოგვეწოდოს შემდეგი სახის ინფორმაცია:

1. **რა პრობლემები მოაგვარა ან ვერ მოაგვარა კომპანია „ქართული კვების" ახალმა მენეჯმენტმა?**
2. **რამდენად შეძლო კომპანიამ პრიორიტეტად გამოცხადებული კვების ხარისხის ზრდა და მუშა პროცესების შეპირებული მმართვა?**
3. **რამდენად სრულყოფილად მოხდა დაპირებული სასადილოების პერსონალის ინდივიდუალური საქმეების შესწავლა და რა საკადრო ცვლილებები განხორციელდა ამ მიმართულებით?**
4. **რომელ საჯარისო ნაწილებში დაასრულდა სასადილოების რემონტი, რა პერიოდი დასჭირდა თითოეული სასადილოს მოწესრიგებას?**

Tbilisi, Georgia, Saburtalo, Vazisubani str. #7 551 081803
pryoungbarristers@gmail.com; pryoungbarristers@yahoo.com

5. ვის მიერ და რა პერიოდულობით მოწმდება შინაგანაწესი, რომელიც პერსონალს მაღალ ჰიგიენურ სტანდარტს ავალდებულებს, გამოვლინდა თუ არა გადაცდომები ასეთი შესაძლო კონტროლის პროცესში? (არ ვგულისხმობთ მხოლოდ ოსიაურის ფაქტს)
6. რა კონტროლის მექანიზმია ჩართული საკვები პროდუქტების ვარგისიანობის შესამოწმებლად? მონაწილეობს თუ არა კონტროლის მექანიზმში საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტო?
7. რამდენად მაღალი ჰიგიენური სტანდარტებით გამოირჩევა ადგილები, სადაც დასაწყობებული სკავები პროდუქტები ინახება?
8. რა ღირებულების შესყიდვებს ანხორციელებს „ქართული კვების კომპანია?"
9. გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია შპს „ქართული კვების კომპანიის" განახლებული მენეჯმენტის შემადგენლობის შესახებ.

პატივისცემით,

მარიკა არევაძე
ა/ო „ახალგაზრდა ადვოკატების"
თანადამფუძნებელი და ხელმძღვანელი

20 ნოემბერი, 2013

ქ. თბილისი

ᲡᲡ-02/96
04/12/2013

GFC

GEORGIAN FOOD COMPANY LLC
შპს ქართული ჯვების კომპანია

№ 04/03/12 „03" დეკემბერი 2013 წ.

ა/ო „ახალგაზრდა ადვოკატების"
თანადამფუძვნებელს და ხელმძღვანელს"
ქ-ნ მარიკა არევაძეს
მის: ქ.თბილისი, საბურთალო, ვაზისუბნის ქ №7

ქალბატონო მარიკა,

თქვენი 2013 წლის 20 ნოემბრის №312 წერილის პასუხად, მოგახსენებთ, რომ ჩვენი კომპანია მზად არის ნებისმიერ დროს, გიპასუხოთ ნებისმიერ კითხვაზე. მოგეხსენებათ, აგვისტოს თვეში კომპანიის ფარგლებში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი არასამთავრობო სექტორთან, სადაც თქვენი ორგანიზაციაც ჩართულია, აქედან გამომდინარე პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს კომპანიასთან კომუნიკაცია.

გარდა ამისა განვმარტავთ, რომ საკვების ინტოქსიკაციასა და დიარეას შორის დიდი განსხვავებაა. საკვებით ინტოქსიკაციის სიმპტომებია: ღებინება, ფაღარათი, ძლიერი სისუსტე, მუცლის ტკივილი და სხვა. დიარეა ეს არის ფაღარათის მსუბუქი ფორმა, რაც გარდა საკვებისა, შეიძლება გამოწვეული იყოს ვირუსული ინფექციით, ენტეროვირუსით, პიროვნების მხრიდან სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დარღვევით და სხვა. რაც შეეხება ბოლოდროინდელ ისტერიას მასობრივი მოწამვლების შესახებ, არც ერთ შემთხვევას მასიური ხასიათი არ ჰქონია, რამდენიმე ერთეულ ჯარისკაცს გამოუვლინდა მსუბუქი ფორმის დიარეა და ჯარისკაცები მეორე დღესვე შეუდგნენ ჩვეულ რეჟიმს.

გიგზავნით თქვენს მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას (იხილეთ დანართი N 1).

დანართი: 3 ფურცელი.

პატივისცემით,

დირექტორი

გიორგი როგავა

შპს ქართული ჯვების კომპანია * GEORGIA * GFC 401960339 * GEORGIAN FOOD COMPANY LTD *

1. **რა პრობლემები მოაგვარა, ან ვერ მოაგვარა „ქართული კვების კომპანიის“ ახალმა მენეჯმენტმა?**

კომპანიაში მენეჯმენტის ცვლილების შემდეგ, პრობლემების მაქსიმალურად აღმოფრქვის მიზნით ახალმა მენეჯმენტმა მთელი რიგი ღონისძიებები გაატარა. იქიდან გამომდინარე, რომ თავდაცვის სამინისტროს დღევანდელი პოლიტიკა მაქსიმალური გახსნილობისა და ამა თუ იმ საკითხში სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობისკენ არის მიმართული. სწორედ ეს პრინციპი აიღო მენეჯმენტმა ორიენტირად. კომპანია მაქსიმალურად გახსნილია და მზად არის თანამშრომლობისთვის ნებისმიერი მიმართულებით. ამას მოწმობს აგვისტოს თვეში გამართული პრესკომფერენცია და არასამთავრობო სექტორთან სამუშაო ჯგუფის შექმნა. კომპანია ითვალისწინებს და განიხილავს სამოქალოქო სექტორის შენიშვნებსა და ინიციატივებს.

პირველ ეტაპზე შეიცვალა კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა. შეიქმნა სახელმწიფო შესყიდვების და ლოჯისტიკის დეპარტამენტი. მეტი გამჭირვალობის უზრუნველსაყოფად, შპს „ქართული კვების კომპანიის“ ინიციატივით და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შუამდგომლობით გაუქმდა მთავრობის დადგენილება შპს „ქართული კვების კომპანიისთვის“ საქონლის და მომსახურების შესყიდვის სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ და კომპანიამ დაიწყო ღია ელექტრონული ტენდერების ჩატარება. 2013 წლის 26 ივლისს კომპანიის სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის მიერ, სხვადასხვა საკვები პროდუქტების შესყიდვის მიზნით, 25 ელექტრონული ტენდერი გამოაცხადა. ტენდერები გამოცხადდა საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის მეშვეობით, რაც მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ და გამჭირვალე მოდელს წარმოადგენს. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ეძლევა ტენდერის გასაჩივრების შესაძლებლობა, რაც ხელს უწყობს შესყიდვების პროცესის სამართლიანობასა და კონკურენტული გარემოს ხარისხის ზრდას.
მეორე ეტაპზე, გაძლიერდა კონტროლის და მონიტორინგის დეპარტამენტი. განახლდა კომპანიის შინაგანაწესი, გამკაცრდა კონტროლი სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე. თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით დაიწყო ტრენინგები, რომლის პროცესი ამ დრომდე მიმდინარეობს. მოხდა ახალი ინვენტარის და დანადგარების შესყიდვა და სასადილოებში განაწილება; სასადილოს თანამშრომლებისთვის ახალი უნიფორმები შეიკერა. ამ დროისთვის გარკვეულ სასადილოებში სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს, რომელიც უახლოვეს მომავალში დასრულდება.

2. **რამდენად შეძლო კომპანიამ პრიორიტეტად გამოცხადებული კვების ხარისხის ზრდა და მუშა პროცესების შეპირებული მართვა?**

შპს „ქართული კვების კომპანიის“ უმთავრესი პრიორიტეტი კვების ხარისხის მაქსიმალური ზრდა და მუშა პროცესების ეფექტური მართვაა. ამისათვის კომპანიის ახალი მენეჯმენტი უკვე შეუდგა სტრატეგიის განხორციელებას. ამის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია კომპანიის მიერ გამოცხადებული ტენდერები, რომლის დოკუმენტაციების შედგენისას კომპანიამ ძირითადი აქცენტი საქონლის ხარისხზე გააკეთა. ამასთანავე, საქართველოში მოქმედი სტანდარტების შესაბამისად დეტალურად გაიწერა თითოეული შესასყიდი პროდუქტის სპეციფიკაცია და ტრანსპორტირების პირობები. სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ იქნა პირობა, რომლის მიხედვითაც თითოეულ პროდუქტს ხელშეკრულების გაფორმებამდე და მიწოდებამდე

ჩაუტარდა შესაბამისი ლაბორატორიული შემოწმება და წარმოდგენილი იქნა ლაბორატორიული შემოწმების ოქმები ან და შესაბამისობის სერთიფიკატები, ამასთანავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ იქნა დამატებითი პირობა, რომლის მიხედვითაც ეტაპობრივად დროდადრო ხდება როგორც შემოსატანი პროდუქციის ლაბორატორიული კვლევები, ასევე ტრანსპორტირების ნორმების დაცვის კონტროლი (ტემპერატურული რეჟიმის და სხვა სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების შემოწმება).

3. **რამდენად სრულყოფილად მოხდა დაპირებული სასადილოების პერსონალის ინდივიდუალურად საქმეების შესწავლა და რა საკადრო ცვლილებები განხორციელდა ამ მიმართულებით?**

შპს „ქართული კვების კომპანიის" სასადილოებში მოხდა თითოეული თანამშრომლის საქმის ინდივიდუალურად გაცნობა და გადახედვა. შემუშავდა ობიექტური და გამჭვირვალე სახელფასე სისტემა; საქვაბე კმაყოფაზე მყოფი პირადი შემადგენლობების რიცხოვნობის მიხედვით სასადილოები დაიყო კატეგორიებად. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გაფორმდა ახალი ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებები თანამშრომლებთან, მოტივაციის ამაღლების მიზნით, ხელფასები საშუალოდ 25%-ით გაიზარდა.

4. **რომელ საჯარისო ნაწილებში დასრულდა სასადილოების რემონტი, რა პერიოდში დასჭირდება თითოეული სასადილოს მოწესრიგებას?**

ამ კითხვაზე პასუხი კომპანიის პრეროგატივა არ არის, ეს არის საჯარო ინფორმაცია და შეგიძლიათ გამოითხოვოთ თავდაცვის სამინისტროსგან. ჩვენი ინფორმაციით 2013 წლის ბოლომდე ძირითადი სასადილოების სარემონტო სამუშაობი დასრულდება.

5. **ვის მიერ და რა პერიოდულობით მოწმდება შინაგანაწესი, რომელიც პერსონალს მაღალ ჰიგიენურ სტანდარტებს ავალდებულებს, გამოვლინდა თუ არა გადაცდომები ასეთი შესაძლო კონტროლის პროცესში? (არ ვგულისხმობთ მხოლოდ ოსიაურის ფაქტს)**

შემოწმება ხდება კომპანიის მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ. ასევე თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების მიერ. (გენერალური ინსპექცია, სამხედრო პოლიცია, ლოჯისტიკის სარდლობა)

6. **რა კონტროლის მექანიზმებია ჩართული საკვები პროდუქტების ვარგისიანობის შესამოწმებლად, მონაწილეობს თუ არა კონტროლის მექანიზმში საქართველოს სოფლის მეუნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტო?**

მოწოდებული პროდუქცია პირველ რიგში გადის შემოწმებას - ვიზუალურ დათვალიერებას და ხდება მისი გადარჩევა და დასაწყობება. თუ გამოვლინდა უხარისხო პროდუქცია უბრუნდება მომწოდებელს.

საწყობიდან გამოტანისას კიდევ ერთხელ ხდება პროდუქტის გადარჩევა მთავარი მზარეულის მიერ და გადარჩეული პროდუქტი გადის სამზარეულოში დასამუშავებლად და კერძების მოსამზადებლად. პერიოდულად პროდუქტს ამოწმებს თავდაცვის სამინისტროს ლოჯისტიკის

სარდლობის ხარისხის კონტროლის განყოფილება. ასევე, შპს „ქართული კვების კომპანიის“ მონიტორინგის დეპარტამენტი.

გაცემის ხაზზე გატანამდე, მომზადებული კერძი მოწმდება სამხედრო ნაწილის სამედიცინო პუნქტის თანამშრომლების მიერ, ხდება საკვების დაგემოვნება და ორგანოლეპტიკური შემოწმება, რის შედეგებსაც აფიქსირებენ მზა კერძების ხარისხის კონტროლის წიგნში. გარდა ამისა, ექიმი ჩვენს თანამშროლმებთან ერთად იღებს თითოეული მომზადებული კერძის ნიმუშს, ათავსებს შესაბამის ქილაში, ლუქავს მას და ინახავს მაცივარში, სათანადო ტემპერატურაზე. ამგვარი შემოწმება ხდება საკვების ყოველი გაცემის წინ (საუზმე, სადილი, ვახშამი).

რაც შეეხება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტოსთან მემორანდუმს, იქიდან გამომდინარე, რომ ამ მომენტისთვის სასადილოებში სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს, მემორანდუმის გაფორმება მომავალი წლისთვის იგეგმება.

7. **რამდენად მაღალი ჰიგიენური სტანდარტებით გამოირჩევა ადგილები, სადაც დასაწყობებული საკვები პროდუქტები ინახება?**

კომპანია ხელმძღვანელობს საქართველოში მოქმედი სანიტარულ-ჰიგიენური ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად.

8. **რა ღირებულების შესყიდვებს ახორციელებს „ქართული კვების კომპანია“?**

ეს არის საჯარო ინფორმაცია და შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს შესყიდვებისა და კონკურენციის სააგენტოს ვებგვერდზე.

9. **გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია შპს „ქართული კვების კომპანიის“ განახლებული მენეჯმენტის შემადგენლობის შესახებ.**

შპს „ქართული კვების კომპანიის“ პოლიტიკას განსაზღვრავენ: კომპანიის დირექტორი გიორგი როგავა და დირექტორის მოადგილე ირაკლი ფირცხალაიშვილი; ასევე, სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები; კომპანიის სტრუქტურული ერთეულების დაკომფლექტება ძირითადად კომპანიაში არსებული რესურსების საშუალებით განხორციელდა.

ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

ღირსება
თავისუფლება
თანასწორობა

Non-Profit Human Rights NGO Young Barristers

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "ახალგაზრდა ადვოკატები" www.barristers.ge

ა.ა. #311

შპს „ქართული კვების კომპანიას"

ა/ო „ახალგაზრდა ადვოკატები"
თბილისი, საბურთალო, ვაზისუბნის ქუჩა #7

მ ი მ ა რ თ ვ ა

გაცნობებთ, რომ ა/ო „ახალგაზრდა ადვოკატები" დაინტერესებულია შეისწავლოს 2013 წლის 13 ნოემბერს, ოსიაურის საწვრთნელ ბანაკში მომხდარი ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტი, რომლის მიმართაც, საზოგადოებაში არსებობს მხოლოდ ერთი მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, სამხედროების მოწამვლა დაკავშირდა მზარეულის დაუდევრობასთან საკვების მომზადების დროს.

როგორც შპს „ქართული კვების კომპანიის" მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული, **„გამოძიების პირველადი მონაცემებით იკვეთება მზარეულის დაუდევრობა საკვების მომზადებისას. მზაერეული, რომლის დაუდევრობაც იკვეთება, „ქართული კვების კომპანიიდან" უკვე დათხოვნილია".**[1]

გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი სახის ინფორმაცია:

1. შპს „ქართული კვების კომპანიიდან" გათავისუფლებული მზარეულის ვინაობა – სახელი, გვარი, ასაკი და საკონტაქტო ტელეფონი

2. შპს „ქართული კვების კომპანიას" გათავისუფლებულ მზარეულთან გაფორმებული ხელშეკრულების დადების თარიღი და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

3. ინფორმაცია, თუ რა დაუდევრობის ფაქტს ჰქონდა ადგილი, რომლის საფუძველზეც, კომპანიამ მიიღო მზარეულთან ხელშეკრულების შეწყვეტის გადაწყვეტილება?

[1] 2013 წლის 13 ნოემბრის შპს „ქართული კვების კომპანიის" განცხადება

Tbilisi, Georgia, Saburtalo, Vazisubani str. #7 551 081803
pryoungbarristers@gmail.com; pryoungbarristers@yahoo.com

ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

ღირსება
თავისუფლება
თანასწორობა

Non-Profit Human Rights NGO Young Barristers
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "ახალგაზრდა ადვოკატები" www.barristers.ge

პატივისცემით,

მარიკა არევაძე
ა/ო „ახალგაზრდა ადვოკატების"
თანადამფუძნებელი და ხელმძღვანელი

20 ნოემბერი, 2013

ქ. თბილისი

Tbilisi, Georgia, Saburtalo, Vazisubani str. #7 551 081803
pryoungbarristers@gmail.com; pryoungbarristers@yahoo.com

— 33-02/95
04/12/2013

GFC

GEORGIAN FOOD COMPANY LLC
შპს ქართული ჰვების კომპანია

№ 04/03/2 „03" დეკემბერი 2013 წ.

ა/ო „ახალგაზრდა ადვოკატების"
თანადამფუძვნებელს და ხელმძღვანელს"
ქ-ნ მარიკა არევაძეს
მის: ქ.თბილისი, საბურთალო, ვაზისუბნის ქ №7

ქალბატონო მარიკა,

თქვენი 2013 წლის 20 ნოემბრის №311 წერილის პასუხად, გვსურს, დამატებით განგიმარტოთ, რომ ოსიაურის საწვრთნელ ბანაკში ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტი არ დაფიქსირებულა, ეს იყო მსუბუქი ფორმის დიარეა, ინტოქსიკაციას, ან მოწამვლის რაიმე მძიმე ფორმას ადგილი არ ჰქონია, არცერთ სამხედრო მოსამსახურეს არ დასჭირვებია არანაირი ფორმის სამედიცინო დახმარება. ადგილზე შემოწმების შემდეგ სამხედროები დაუბრუნდნენ საწვრთნელ პოლიგონს. ყოველივე აქედან გამომდინარე, კიდევ ერთხელ მოგიწოდებთ, ინფორმაციის გავრცელებამდე, კომუნიკაცია იქონიოთ კომპანიასთან. ჩვენ მზად ვართ ნებისმიერ დროს თქვენს შეკითხვებს ვუპასუხოთ.

გიგზავნით თქვენს მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას (იხილეთ დანართი N 1).

დანართი: 1 ფურცელი.

პატივისცემით,

დირექტორი

გიორგი როგავა

შპს ქართული ჰვების კომპანია • GEORGIA • საქართველო GFC 401960339 GEORGIAN FOOD COMPANY LTD

1. **შპს „ქართული კვების კომპანიდან“ გათავისუფლებული მზარეულის ვინაობა - სახელი, გვარი, ასაკი და საკონტაქტო ტელეფონი.**

მოგახსენებთ, რომ დაუდევრობის მიზეზით გათავისუფლებული თანამშრომელია გიორგი ფიცხელაური, იგი ამჟამად არ წარმოადგენს შპს „ქართული კვების კომპანიის“ თანამშრომელს, აქედან გამომდინარე მოკლებული ვართ შესაძლებლობას გავცეთ მისი საკონტაქტო ინფორმაცია.

2. **შპს „ქართული კვების კომპანიის“ გათავისუფლებულ მზარეულთან გაფორმებული ხელშეკრულების დადების თარიღი და ხელშეკრულების მოქმედების ვადა.**

გათავისუფლებული მზარეული შპს „ქართული კვების კომპანიის“ თანამშრომლად 2011 წლის სექტემბრის თვიდან ირიცხება.

3. **ინფორმაცია, თუ რა დაუდევრობას ქონდა ადგილი, რომლის საფუძველზეც, კომპანიამ მიიღო მზარეულთან ხელშეკრულების შეწყვეტის გადაწყვეტილება.**

მზარეულის გათავისუფლება მოხდა სადილის მომზადების წესის დარღვევის გამო.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ შეთავაზება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინსტიტუციური დიალოგის ფარგლებში თანამშრომლობაზე და სამინისტროს პოზიცია

ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

ღირსება
თავისუფლება
თანასწორობა

Non-Profit Human Rights NGO Young Barristers

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "ახალგაზრდა ადვოკატები" www.barristers.ge

ა.ა. #112

საქართველოს თავდაცვის მინისტრს
ბატონ ირაკლი ალასანიას

ა/ო „ახალგაზრდა ადვოკატები"
თბილისი, საბურთალო, ვაზისუბნის ქუჩა #7

მიმართვა

(საჯარო სივრცეში ურთიერთთანამშრომლობის შესახებ)

ბატონო ირაკლი,

გვსურს გამოვხატოთ პატივისცემა თქვენი საჯარო უწყების მიმართ და გამოვთქვათ მზადყოფნა თემატურ საკითხებზე თანამშრომლობის შესაძლებლობებთან დაკავშირებით, რადგანაც მიგვაჩნია, რომ საქართველოში განხორციელებული პოლიტიკური ცვლილებების შედეგად, მიმდინარე საზოგადოებრივი, სამართლებრივი და დემოკრატიული პროცესების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ჯგუფები და არასამთავრობო სექტორი აქტიურ მონაწილეობას იღებდეს ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი საკითხებისა და ინიციატივების განხილვაში და საზოგადოებისთვის არსებობდეს სწორი ინფორმაციის წყარო. ამასთან, მმართველობის სფერო კიდევ უფრო მეტად გახდეს სამოქალაქო ინიციატივებზე დაფუძნებული და გადაწყვეტილებების პროცესში გაზიარებულ იქნეს რაციონალური, პრაგმატული და არსებითი წინადადებები, მოქალაქე რეალურად გრძნობდეს სახელმწიფოსთან თავის სამართლებრივ–პოლიტიკურ კავშირს.

„ახალგაზრდა ადვოკატები", 2012 წლის ივლისიდან, აქტიურ უფლებადაცვით საქმიანობას მიმართავს და ახალგაზრდულ არასამთავრობო ორგანიზაციათა შორის, აქტიური წვლილი შეაქვს დემოკრატიული ღირებულებების, ადამიანის უფლებების/თავისუფლებების დაცვისა და კანონის უზენაესობის მხარდაჭერაში. ორგანიზაცია ანხორციელებს სტრატეგიულ საქმისწარმოებას, რაც საადვოკატო საქმიანობის ფორმებთან ერთად, გულისხმობს მჭიდრო ურთიერთობას საქართველოს აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებასთან. ამ მიმართულებით, „ახალგაზრდა ადვოკატები" ჩართულია საქართველოს პარლამენტთან არასამთავრობო ორგანიზაციათა დიალოგის ჯგუფის ფორმატში, მონაწილეობს სამთავრობო უწყებებთან არსებული საზოგადოებრივი მონიტორინგის შემადგენლობაში, თანამშრომლობს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან, პროფესიულ გაერთიანებებთან, საქართველოში საერთაშორისო

ორგანიზაციებთან და დიპლომატიურ კორპუსთან, წარმოადგენს ახალგაზრდულ ალიანსს: „ეკონომიკური სამართლიანობისა და ბიზნესის თავისუფლებისთვის".

„ახალგაზრდა ადვოკატები" ორიენტირებულია კვლევით საქმიანობაზე, ამზადებს თემატურ დასკვნებსა და რეკომენდაციებს, მრგვალ მაგიდას აქტუალური თემების გაშუქებისა და დისკუსიისათვის. ამასთან, ორგანიზაცია ძირითად სტრატეგიად აცხადებს: ჩართულობას უფლებებისა და კანონის უზენაესობის პროცესში, მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის, კანონმდებლობის ექსპერტიზის, პროფესიული განვითარების, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელების, თვითმმართველობების ინსტიტუციური გაძლიერების, მოწყვლადი ჯგუფების უფლებების დაცვის, მედია-ადვოკატირების, არჩევნების მონიტორინგისა და ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელების პროცესში.

„ახალგაზრდა ადვოკატების" გუნდი აქტიურ მონაწილეობას იღებს საზოგადოებრივი ინიციატივების შექმნასა და განხორციელებაში. ამჟამად, ორგანიზაციის სურვილია, გააფართოვოს კომუნიკაცია და გაზარდოს ჩართულობის ხარისხი. სწორედ ამ მიზნით, ორგანიზაცია გამოდის ახალი ინიციატივით – **„ინსტიტუციური დიალოგი აღმასრულებელ, საკანონმდებლო, სასამართლო ხელისუფლებასთან".** ინიციატივა შესაძლებლობას იძლევა ობიექტური და სათანადო მიდგომები ჩამოყალიბდეს მიმდინარე პროცესების, რეფორმებისა და სიახლეების მიმართ, რომელიც შესაძლებელია, სათანადო ყურადღების მიღმა აღმოჩნდეს. ამიტომაც, მნიშვნელოვანია, ახალგაზრდების ჩართულობა და ფართო დიალოგი სახელმწიფოსთან, რადგანაც არსებობდეს სწორი შინაგანი რწმენა და რეალური ნდობა ინსტიტუციების მიმართ.

ორგანიზაცია გამოთქვამს იმედს, რომ აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში, შესაძლებლობა მოგვეცემა თქვენთან საინტერესო საკითხებზე და თემებზე სასაუბროდ. გვსურს, აგრეთვე გაცნობოთ, რომ „ახალგაზრდა ადვოკატები", ინიციატივის ფარგლებში, აქტიურ შეხვედრებს გეგმავს აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებთან. ინიციატივა 2013 წლის 1 აგვისტოდან დაიწყება და ორგანიზაცია გამოთქვამს სურვილს, სტრუქტურული დიალოგი სახელმწიფოს ინსტიტუციებთან იყოს მუდმივი პროცესი.

„ახალგაზრდა ადვოკატები" მოგმართავთ თხოვნით, რათა გვეცნობოს თქვენი უწყების შესაბამისი დამოკიდებულება და ინტერესი წარმოდგენილი ინიციატივის მიმართ.

ორგანიზაცია ურთიერთობაში იქნება თქვენი სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურთან. ინიციატივასთან დაკავშირებით, თქვენი მოსაზრებები და შეხედულებები, შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ორგანიზაციის ოფიციალურ ელექტრონულ მისამართზე ან/და პირდაპირი

ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

ღირსება
თავისუფლება
თანასწორობა

Non-Profit Human Rights NGO Young Barristers

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "ახალგაზრდა ადვოკატები" www.barristers.ge

კომუნიკაცია არსებობდეს „ახალგაზრდა ადვოკატების" საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერთან. საკონტაქტო ინფორმაცია მოცემულია წინამდებარე მიმართვის ბოლოს.

ამასთან, „ახალგაზრდა ადვოკატები" გამოთქვამთ მჭირდო თანამშრომლობის სურვილს თქვენი სამინისტროს ორგანიზებით მომზადებულ ღონისძიებებში მონაწილეობისთვის. თემატურ განხილვებში ჩართულობა შესაძლებლობაა, რათა უკეთ ვიცნობდეთ თქვენი საქმიანობის შედეგებს და გვქონდეს სწორი სამოქალაქო პოზიცია და პროფესიული დამოკიდებულება. მიგვაჩნია, რომ ამ მიმართულებით ორგანიზაციის შემდგომი ინფორმირებულობა, ურთიერთთანამშრომლობის პროცესში, რეალური და მჭიდრო იქნება.

პატივისცემით,

არჩილ კაიკაციშვილი

ა/ო „ახალგაზრდა ადვოკატების"
თანადამფუძნებელი და ხელმძღვანელი

30 ივლისი, 2013

ქ. თბილისი

Tbilisi, Georgia, Saburtalo, Vazisubani str. #7 551 081803
pryoungbarristers@gmail.com; pryoungbarristers@yahoo.com

ᲐᲐ-02/35

საქართველო
თავდაცვის სამინისტრო

GEORGIA
MINISTRY OF DEFENCE

„16" 05 2013 წ

№ 18/405

არასამთავრობო ორგანიზაციის „ახალგაზრდა ადვოკატები"

ხელმძღვანელს ბატონ არჩილ კაიკაციშვილს

ბატონო არჩილ,

თქვენი წერილის საპასუხოდ გაცნობებთ, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან. თანამშრომლობის ფორმატი კონცეპტუალური დოკუმენტების შემუშავების პროცესში საზოგადოების აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს.

ასევე, შექმნილია სამი სამუშაო ჯგუფი: თავდაცვის ტრანსფორმაციის, ნატოში ინტეგრაციისა და საერთაშორისო ოპერაციების, გამჭვირვალობისა და ადამიანის უფლებებზე მომუშავე ჯგუფები. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები თავდაცვის სამინისტროში შექმნილი სატენდერო კომისიის სხდომებსაც ესწრებიან და მონაწილეობენ თავდაცვის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა ტრენინგებში.

თუ თქვენს არასამთავრობო ორგანიზაციას სურვილი აქვს, ითანამშრომლოს თავდაცვის სამინისტროსთან და ჩაერთოს ზემოთაღნიშნულ ჯგუფების მუშაობაში, გთხოვთ წერილობით სამინისტროში წარმოგვიდგინოთ თითო ჯგუფში მოსაუბრე თითო კანდიდატი და მათი საკონტაქტო მონაცემები. (ტელ: ელ-მისამართი)

პატივისცემით,

ლევან ჯორბენაძე
თავდაცვის სამინისტროს
საზოგადოებრივ საქმეთა
დეპარტამენტის უფროსი

ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

ღირსება
თავისუფლება
თანასწორობა

Non-Profit Human Rights NGO Young Barristers
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "ახალგაზრდა ადვოკატები" www.barristers.ge

ა.ა. #228

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს
საზოგადოებრივ საქმეთა დეპარტამენტის უფროსს,
ბატონ ლევან ჯორბენაძეს

ა/ო „ახალგაზრდა ადვოკატები"
თბილისი, საბურთალო, ვაზისუბნის ქუჩა #7

მიმართვა

(სამინისტროსთან ინსტიტუციური დიალოგის შესახებ)

ბატონო ლევან,

ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები" მივესალმებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მზაობას თემატურ სამუშაო ჯგუფებში ჩართულობისა და მონაწილეობის შესახებ. თქვენი 2013 წლის 16 სექტემბრის #18/405 წერილი, ჩვენთვის წარმოადგენს შესაძლებლობას, რათა ურთიერთთანამშრომლობით, აქტიური მონაწილეობა მივიღოთ უწყებაში დაგეგმილი სიახლეების გაცნობასა და განხორციელების პროცესში.

ამასთან, გვსურს ჩვენი დამოკიდებულება გამოვთქვათ 2013 წლის 30 ივლისს ბატონ ირაკლი ალასანიას მიმართ გამოგზავნილი წერილის შესახებაც, რომელიც პროექტში: **„ინსტიტუციური დიალოგი აღმასრულებელ, საკანონმდებლო, სასამართლო ხელისუფლებასთან"** მონაწილეობას ეხებოდა. ის ფაქტი, რომ ორგანიზაციას შესაძლებლობა მიეცემა სამინისტროს თემატურ ჯგუფებში წარმომადგენელის დასახელებაზე, ვფიქრობთ სხვა გარემოებაა და ალბათ, გამორიცხავს სამინისტროს შემდგომ მზაობას დასახელებულ კონკრეტულ პროექტში თქვენს თანამონაწილეობას. პროექტის ფორმატი და თქვენი შემოთავაზება სხვადასხვგვარია და ორგანიზაცია კვლავ მოგმართავთ თხოვნით, რათა წარმოდგენილი ინიციატივის ფარგლებში, შედგეს ჩვენი შეხვედრა ბატონ ირაკლი ალასანიასთან.

Tbilisi, Georgia, Saburtalo, Vazisubani str. #7 551 081803
pryoungbarristers@gmail.com; pryoungbarristers@yahoo.com

ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

ღირსება
თავისუფლება
თანასწორობა

Non-Profit Human Rights NGO Young Barristers

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "ახალგაზრდა ადვოკატები" www.barristers.ge

ორგანიზაცია, გამოთქვამს მზადყოფნას, წინმსწრებად მოგაწოდოთ ის მნიშვნელოვანი თემები, რომლის მიმართაც გვსურს მინისტრთან დიალოგი. ამასთან, გვიწევს ხელახლა წამოგიდგინოთ პროექტიც და მინისტრთან, 2013 წლის 30 ივლისს გაგზავნილი წერილიც.

რაც შეეხება სამინისტროს თემატურ ჯგუფებში ორგანიზაციის წევრთა თანამონაწილეობის საკითხს, „ახალგაზრდა ადვოკატების" სადამფუძნებლო საბჭო, უახლოეს სხდომაზე, კანდიდატებთან დაკავშირებით მიიღებს გადაწყვეტილებას და გეცნობებათ დამატებით.

პატივისცემით,

არჩილ კაიკაციშვილი
ა/ო „ახალგაზრდა ადვოკატების"
თანადამფუძნებელი და ხელმძღვანელი

18 სექტემბერი, 2013

ქ. თბილისი

Tbilisi, Georgia, Saburtalo, Vazisubani str. #7 551 081803
pryoungbarristers@gmail.com; pryoungbarristers@yahoo.com

„ახალგაზრდა ადვოკატებისა“ და საქართველოს თავდაცვის
სამინისტროს კომუნიკაცია

ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

ღირსება
თავისუფლება
თანასწორობა

Non-Profit Human Rights NGO Young Barristers
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "ახალგაზრდა ადვოკატები" www.barristers.ge

ა.ა. #142

საქართველოს თავდაცვის მინისტრს
ბატონ ირაკლი ალასანიას

ა/ო „ახალგაზრდა ადვოკატები"
თბილისი, საბურთალო, ვაზისუბნის ქუჩა #7

მიმართვა

ბატონო ირაკლი,

უფლებადაცვითი ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები" მოგმართავთ თხოვნით, რათა სათანადო ყურადღება დაეთმოს საქართველოს შეიარაღებული ძალების კვების უსაფრთხოებაში არსებულ მდგომარეობას და საჯარო გახდეს ინფორმაცია, ვინ უზრუნველყოფს და რამდენად შესაბამისობაშია სტანდარტებთან სამხედრო მოსამსახურეთა კვებითი უზრუნველყოფა.

როგორც „ახალგაზრდა ადვოკატებისთვის" გახდა ცნობილი, 2013 წლის 25 ივლისს, სენაკის სამხედრო ბაზაზე ადგილი ჰქონდა ჯარისკაცების საკვებით მოწამვლის ფაქტს. მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მოიწამლა 52 ჯარისკაცი.

ორგანიზაცია ითვალისწინებს შემთხვევას, რომელიც ქუთაისში, 11 სამხედრო მოსამსახურის მოწამვლის ფაქტთან დაკავშირებით, ცოტა ხნის წინ მოხდა. აგრეთვე, ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტები დაფიქსირდა გორში, ვაზიანსა და ფოთის სამხედრო ნაწილებში.

ორგანიზაცია ყურადღებას ამახვილებს გარემოებაზე, რომლის შედეგადაც, სამხედრო მოსამსახურეები არანორმირებულიდან ნორმირებული კვებით რეჟიმზე გადავიდნენ, თუმცა უცნობია, რომელი კომპანიები იღებენ პასუხისმგებლობას უწყებაში ლოჯისტიკის სფეროს ეფექტურ მუშაობასა და უსაფრთხოებაზე.

ორგანიზაცია მოგმართავთ თხოვნით, რათა თავდაცვის სამინისტრომ კვებითი უსაფრთხოების მიმართულებით გააძლიეროს შესაბამისი კონტროლი. ამასთან, დადგეს კვებით უზრუნველყოფაზე

Tbilisi, Georgia, Saburtalo, Vazisubani str. #7 551 081803
pryoungbarristers@gmail.com; pryoungbarristers@yahoo.com

კონტრაქტორი კომპანიების პასუხისმგებლობა, თუკი სენაკის სამხედრო ბაზაზე მომხდარი ფაქტიც დადასტურდება.

„ახალგაზრდა ადვოკატების" ინფორმაციით, დღეს კომპანია „ქართული კვება" შეიარაღებულ ძალების სისტემაში ლიდერი კონტრაქტორია, რომელიც სფეროში ფაქტობრივ მონოპოლიას ფლობს. შესაბამისად, ჯარისკაცების მოწამვლის შემთხვევები, აუცილებლობას ბადებს, მეტი სიცხადე და გამჭვირვალობა არსებობდეს კვებით უსაფრთხოების სფეროში, ხოლო სამინისტრომ და მინისტრმა გაცილებით მეტი ყურადღება უნდა გამოიჩინოს ამ მიმართულებით. განაახლოს სატენდერო კონკურსი, რადგანაც კომპანიები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ სამინისტროს მიერ 2013 წლის თებერვალში გამოცხადებულ 4 ტენდერში, გამოირჩეოდნენ ფასთა სხვაობით და შემოთავაზებული მომსახურების ხარისხით.

„ახალგაზრდა ადვოკატებისთვის" მნიშვნელოვანი იქნება სამინისტროს განმარტება, თუ რამდენად დგას აუცილებლობა შეიარაღებული ძალების კვების უზრუნველყოფისთვის, 2013 წლის ივნისში შეწყვეტილი ტენდერები განახლდეს.

ამასთან, მნიშვნელოვანია გაკეთდეს განმარტებები, სამხედრო მოსამსახურეთა არანორმირებული კვების სისტემის დატოვება, თქვენი საბოლოო გადაწყვეტილებაა თუ დროებითი გარემოება. რა ცვლილებები იგეგმება ამ მიმართულებით.

გთხოვთ, საქართველოს ზოგადი ადნინისტრაციული კოდექსის 37–ე – მე–40 მუხლების საფუძველზე, მოწოდებულ იქნეს შემდეგი სახის საჯარო ინფორმაცია:

1. ადასტურებს თუ არა საქართველოს თავდაცვის სამინისტრო 2013 წლის 25 ივლისს, სენაკის სამხედრო ბაზაზე ჯარისკაცების მოწამვლის შემთხვევას? ასეთი ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, რა რეაგირების მოხდენას აპირებს სამინისტრო?

2. გთხოვთ, მოგვეწოდოს ინფორმაცია, რომელი კონტრაქტორი კომპანიები რომელ სამხედრო ბაზებს უზრუნველყოფენ კვებითი მომსახურებით?

3. გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია, კომპანია „ქართული კვების" რომელ სამხედრო ბაზებს უზრუნველყოფს კვებითი მომსახურებით, რა პერიოდიდან და რამდენს შეადგენს კომპანიის მიერ შეიარაღებული ძალების საკვებით უზრუნველყოფისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი?

4. აპირებს თუ არა საქართველოს თავდაცვის სამინისტრო კვებით მომსახურებაზე ტენდერის გამოცხადებას (გნებავთ, გაგრძელებას, აღდგენას, განახლებას)

5. სამხედრო მოსამსახურეთა არანორმირებული კვების სისტემის დატოვება, სამინისტროს საბოლოო გადაწყვეტილებაა თუ დროებითი გარემოება. რა ცვლილებები იგეგმება ამ მიმართულებით.

პატივისცემით,

არჩილ კაიკაციშვილი
ა/ო „ახალგაზრდა ადვოკატების"
თანადამფუძნებელი და ხელმძღვანელი
30 ივლისი, 2013
ქ. თბილისი

ეე-02/23

საქართველო
თავდაცვის სამინისტრო

GEORGIA
MINISTRY OF DEFENCE

„23" 08 2013 წ

№ 7/2940

„ეროვნული ადვოკატების"
სელმძღვანელს არჩილ კაიკაციშვილს

(მის: ქ. თბილისი, საბურთალო, ვაზისუბნის ქ.№7)

ბატონო არჩილ,

თქვენი 2013 წლის 30 იულისის №142 განცხადების (№1-5491 02.08.2013) პირველი პუნქტის პასუხად გაცნობებთ, რომ სენაკის სამხედრო ბაზაზე 2013 წლის 25 იულისს ჯარისკაცთა მოწყვლის ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, დანიშნულია ექსპერტიზა და მიმდინარეობს გამოძიება.

ამასთან, მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის გარკვეული ნაწილი წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებში დაცული და ერთმანეთთან დაკავშირებული ცალკეული ინფორმაციას, რომელიც მოძიება და დამუშავება საჭიროებს გარკვეულ დროს. აქედან გამომდინარე, აღნიშნული ინფორმაციას დამატებით მოგაწვდით უახლოეს მომავალში.

პატივისცემით,

კონსტანტინე ყიფიანი
ადმინისტრაციის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

ღირსება
თავისუფლება
თანასწორობა

Non-Profit Human Rights NGO Young Barristers

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "ახალგაზრდა ადვოკატები" www.barristers.ge

ა.ა. #201

საქართველოს თავდაცვის მინისტრს
ბატონ ირაკლი ალასანიას

ა/ო „ახალგაზრდა ადვოკატები"
თბილისი, საბურთალო, ვაზისუბნის ქუჩა #7

მიმართვა

ბატონო ირაკლი,

არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები" მოგმართავთ თხოვნით, რათა სათანადო ყურადღება დაეთმოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროში მიმდინარე საკადრო და სისტემური საკითხების მოგვარებას და არსებული სირთულეების დროის მოკლე ვადაში აღმოფხვრას.

როგორც ორგანიზაციას სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახის წევრებმა აცნობეს, შეიარაღებული ძალების სამხედრო ნაწილებში ინფექციური დაავადებების რიცხვმა იმატა. საუბარია ჩუტყვავილას გავრცელებაზე გორის სამხედრო ბაზაზე დისლოცირებულ ვაშლიჯვრის სპეცნაზმის მოსამსახურეებში. ჩვენი ინფორმაციით, სამხედრო მოსამსახურეების მიმართ, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის პროცესში, დაშვებულ იქნა შეცდომა. ჩუტყვავილას ვაქცინაციის ნაცვლად, განხორციელდა სხვა ვირუსული დაავადების საწინააღმდეგო სამედიცინო დახმარება. კერძოდ, საუბარია მოსამსაუხრეებისათვის, ჩუტყვავილას საწინააღმდეგო ვაქცინაციის მიღების ნაცვლად, ე.წ. „ცოფის აცრების" გაკეთებაზე, რაც სამინისტროს მხრიდან, შესაბამის განმარტებებსა და შეფასებას საჭიროებს.

„ახალგაზრდა ადვოკატებს" მიგვაჩნია, რომ უკვე მერამდენედ, საქართველოს თავდაცვის სამინისტროში, სისტემურ და საკადრო პრობლემებს აქვს ადგილი. ორგანიზაცია მიუთითებს, რომ ასეთი შემთხვევები არაპროფესიონალიზმზე და სისტემაში საკადრო პოლიტიკის ხარვეზებზე მიუთითებს. ამიტომაც, მნიშვნელოვანია, შესწავლილ იქნეს, როგორც გორის სამხედრო ბაზაზე მომხდარი ფაქტი, ასევე გადაიხედოს სამინისტროს საკადრო პოლიტიკაც. პასუხს მოითხოვს პრესაში გამოქვეყნებული ინფორმაციაც. რომლის თანახმადაც, თავდაცვის სამინისტროში, დღემდე, მაღალ თანამდებობებს, ყოფილი კუდ–ის და სოდი–ის ყოფილი მაღალი უფლებამოსილების მქონე პირები

Tbilisi, Georgia, Saburtalo, Vazisubani str. #7 551 081803
pryoungbarristers@gmail.com; pryoungbarristers@yahoo.com

იკავებენ. არსებული ინფორმაციით, სწორედ სამხედრო პოლიციაა დაკომპლექტებული კუდ–ისა და სოდ–ის ყოფილი თანამშრომლებით, რაც გვაფიქრებინებს, რომ ვერ მიიღწევა უწყების ყველაზე მნიშვნელოვანი – უსაფრთხოების დაცვა. სამინისტროს მხრიდან, ამ მიმართულებით, უპასუხოდაა დატოვებული 2013 წლის 9 აგვისტოს, ავტორიტეტულ გაზეთ „რეზონანსში" გამოქვეყნებულ პუბლიკაციაც, რომლიც საკადრო პოლიტიკის შეცდომებზე კონკრეტულ ფაქტებს შეიცავს.

„ახალგაზრდა ადვოკატები" კიდევ ერთხელ მოგმართავთ თხოვნით, რათა დროულად მიიღოთ გადაწყვეტილებები სფეროში არსებული საკადრო, საორგანიზაციო და სისტემური პრობლემების დარეგულირებისთვის. სამწუხაროა, როდესაც სამინისტრო დღემდე უპასუხოდ ტოვებს ორგანიზაციის მიერ გახმაურებულ ფაქტს, სენაკის სამხედრო ბაზაზე, 52 ჯარისკაცის საკვებით მოწამვლის შესახებ. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული შემთხვევაც, სწორედ არასწორი მმართვის მენეჯმენტისა და საკადრო პოლიტიკის შედეგია. ორგანიზაციამ ფაქტის შესახებ უკვე მოგწერათ 2013 წლის 31 ივლისის (შიდა #142) წერილით, თუმცა უპასუხოდ.

პატივისცემით,

არჩილ კაიკაციშვილი
ა/ო „ახალგაზრდა ადვოკატების"
თანადამფუძნებელი და ხელმძღვანელი

19 აგვისტო, 2013
ქ. თბილისი

ᲐᲐ-02/36

საქართველო
თავდაცვის სამინისტრო

GEORGIA
MINISTRY OF DEFENCE

„17" 09 2013 წ

№ 7/3082

სს „ახალგაზრდა ადვოკატების"
ხელმძღვანელს არჩილ კაიკაციშვილს

(მის: ქ. თბილისი, საბურთალო, ვაზისუბნის ქ. №7)

ბატონო არჩილ,

თქვენი 2013 წლის 30 ივლისის ა.ა №142 განცხადების (№1-5491 02.08.2013წ.) პასუხად და ჩვენს 2013 წლის 23 აგვისტოს №7/2940 წერილზე დამატებით გაცნობებთ შემდეგს:

საქართველოს შეიარაღებული ძალების კვებით უზრუნველყოფას ძირითადად ახორციელებს შპს „ქართული კვების კომპანია", ხოლო ცალკეულ დანაყოფებში შპს „ელფი. რაც შეეხება სამხედრო ნაწილების დასახელებების მიწოდებას, „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" საქართველოს კანონის აძრძოლებასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 21 იანვრის №42 ბრძანებულების მოთხოვნებიდან გამომდინარე, არ წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას.

შპს „ქართული კვების კომპანია" 2011 წლის ივლისის თვიდან ახორციელებს სამხედრო ნაწილებში კვებით უზრუნველყოფას, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული თანხების ფარგლებში.

ამასთან, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ამომავლიდ იგეგმება კვების მომსახურების შესყიდვა ტენდერის საშუალებით.

პატივისცემით,

კონსტანტინე ყიფიანი

ადმინისტრაციის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

ღირსება
თავისუფლება
თანასწორობა

Non-Profit Human Rights NGO Young Barristers
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "ახალგაზრდა ადვოკატები" www.barristers.ge

ა.ა. #255

საქართველოს თავდაცვის მინისტრს
ბატონ ირაკლი ალასანიას

ა/ო „ახალგაზრდა ადვოკატები"
თბილისი, საბურთალო, ვაზისუბნის ქუჩა #7

მიმართვა

(სამხედრო მოსამსახურეების მოწამვლის ფაქტთან დაკავშირებით)

ბატონო ირაკლი,

არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები" უკვე მერამდენედ მიმართავს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, რათა სათანადო ყურადღება გამახვილდეს თქვენი უწყების ლოჯისტიკის უსაფრთხოებაზე და გატარდეს შესაბამისი ზომები, რათა მინინუმამდე დავიდეს სამხედრო მოსამსახურეების საკვები პროდუქტებით მოწამვლის ფაქტები. ორგანიზაცია, ერთი მხრივ დადებითად აფასებს იმ ცვლილებებს, რომელიც კომპანია „ქართული კვების" მენეჯმენტის შეცვლას უკავშირდება. მეტიც, ჩვენ მონაწილეობა მივიღეთ კომპანიის მიერ დაგეგმილ მრგვალ მაგიდაში, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციებთან დაიგეგმა და გახლდით ერთ–ერთ დისლოცირებულ ბრიგადაში, სადაც ადგილზე შევაფასეთ ჯარისკაცთა კვებითი მდგომარეობა, თუმცა მენეჯმენტის უკეთ მუშაობისთვის თვალსაჩინოდ შემოთავაზებული აღნიშნული ღონისძიებები, პრობლემებს ვერ მოაგვარებს.

„ახალგაზრდა ადვოკატები", მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მიუთითებს, რომ 16–22 სექტემბრის შუალედში, 330 ჯარისკაცის მოწამვლის ფაქტი კვლავ დაფიქსირდა, კერძოდ 31–ე ქარხნის ტერიტორიაზე არსებულ ბრიგადაში, მე–11 ბრიგადასა და საინჟინრო ბრიგადაში. იქედან გამომდინარე, რომ ინფორმაციის წყარო თავად სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებია, ჩვენ ავირეულ ვალდებულება და პასუხიმგებლობა, ღიად არ გვესაუბრა მათ შესახებ, ვინაიდან აღნიშნულ ადამიანებს კვლავ აქვთ განცდა, რომ პრობლემები შეექმნებათ. მიგვაჩნია, რომ ბოლო პერიოდში,

Tbilisi, Georgia, Saburtalo, Vazisubani str. #7 551 081803
pryoungbarristers@gmail.com; pryoungbarristers@yahoo.com

ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

ღირსება
თავისუფლება
თანასწორობა

Non-Profit Human Rights NGO Young Barristers

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "ახალგაზრდა ადვოკატები" www.barristers.ge

ჯარისკაცების მოწამვლის გახშირებული ფაქტები, კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების კვების უსაფრთხოებაში არსებული პრობლემები გამოუსწორებელია და შეცვლილი მენეჯმენტი სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს ლოჯისტიკის სფეროში არსებული საკითხების შესაბამის გადაწყვეტას და ხარვეზების აღმოფხვრას.
„ახალგაზრდა ადვოკატები" კიდევ ერთხელ მოგმართავთ და ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტებზე, სათანადო რეაგირებისკენ მოგიწოდებთ. როგორც ვთქვით, მართალია, კომპანია „ქართული კვების" მენეჯმენტი შეიცვალა, რომელიც თავდაცვის სფეროში კვებითი უზრუნველყოფის მიმართულებით, ერთ–ერთი მთავარი კონტრაქტორია, თუმცა სამხედრო მოსამსახურეების საკვები პროდუქტებით მოწამვლის ფაქტი კვლავ სისტემურ პრობლემად რჩება. ამიტომაც, სამინისტრომ კვებითი უსაფრთხოების მიმართულებით უნდა გააძლიეროს კონტროლი და ფაქტების დადასტურების შემთხვევაში, დააყენოს კვებით უზრუნველყოფაზე კონტრაქტორი კომპანიების პასუხისმგებლობის საკითხი. ამასთან, საზოგადოებისთვის უცნობია, რომელი კომპანიები იღებენ პასუხისმგებლობას უწყებაში ლოჯისტიკის სფეროს ეფექტურ მუშაობასა და უსაფრთხოებაზე, როდემდე უნდა გრძელდებოდეს ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტები და არ ხდებოდეს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირების პასუხიმგებლობის საკითხის დასმა.

ორგანიზაცია სრულად იზიარებს იმ პასუხისმგებლობას, რომელიც საკითხზე მსჯელობას და დასაბუთებას ახლავს. 2013 წლის 31 ივლისს გამართულ ბრიფინგზე, „ახალგაზრდა ადვოკატებმა" საზოგადოებას მივაწოდეთ ინფორმაცია საკვები პროდუქტებით მოწამვლის გაუხმაურებელი შემთხვევის შესახებ, რომელიც სენაკის სამხედრო ბაზაზე მოხდა. მაშინ მოიწამლა 52 ჯარისკაცი და ფაქტი 25 ივლისს მოხდა. განცხადებას სამინისტროს ზოგიერთმა უფლებამოსილმა პირმა, მათ შორის თქვენმა მრცევლებმა დაუსაბუთებელი უწოდა, თუმცა მოგვიანებით, სამინისტრომ, თავისი წერილით, სენაკის სამხედრო ბაზაზე ჯარისკაცთა მოწამვლის ფაქტი დაადასტურა და 2013 წლის 23 აგვისტოს წერილით ცნობილი გახდა, რომ ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, დანიშნულია ექსპერტიზა და მიმდინარეობს გამოძიება.

„ახალგაზრდა ადვოკატები", მოცემულ შემთხვევაშიც უტყუარს უწოდებს 320 ჯარისკაცის მოწამვლის ფაქტს 31–ე ქარხნის ტერიტორიაზე არსებულ ბრიგადაში, მე–11 ბრიგადასა და საინჟინრო ბრიგადაში. შესაბამისად, ორგანიზაცია გამოთქვამს იმედს, რომ სამინისტრო ფაქტის მიჩქმალვას არ შეეცდება.

გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია, რა გარემოებებში მოხდა 31–ე ქარხნის ტერიტორიაზე არსებულ ბრიგადაში, მე–11 ბრიგადასა და საინჟინრო ბრიგადაში ჯარისკაცების მოწამვლა და მიმდინარეობს თუ არა ფაქტზე შიდაუწყებრივი მოკვლევა?

Tbilisi, Georgia, Saburtalo, Vazisubani str. #7 551 081803
pryoungbarristers@gmail.com; pryoungbarristers@yahoo.com

ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

ღირსება
თავისუფლება
თანასწორობა

Non-Profit Human Rights NGO Young Barristers

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "ახალგაზრდა ადვოკატები" www.barristers.ge

პატივისცემით,
არჩილ კაიკაციშვილი

ა/ო „ახალგაზრდა ადვოკატების"
თანადამფუძნებელი

28 სექტემბერი, 2013

Tbilisi, Georgia, Saburtalo, Vazisubani str. #7 551 081803
pryoungbarristers@gmail.com; pryoungbarristers@yahoo.com

ᲐᲐ-02/14

საქართველო
თავდაცვის სამინისტრო

GEORGIA
MINISTRY OF DEFENCE

MOD 2 13 00001337

18/10/2013

ა/ო ,,ახალგაზრდა ადვოკატების"
ხელმძღვანელს **არჩილ კაიკაციშვილს**

(მის: ქ. თბილისი, საბურთალო, ვაზისუბნის ქ. №7)

ბატონო არჩილ,

თქვენი 2013 წლის 28 სექტემბრის №255 მიმართვის (№1-6903 01.10.2013წ.) პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ მოთხოვნილ ინფორმაციასთან დაკავშირებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურ ვებ გვერდზე (www.mod.gov.ge) განთავსებულია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს განცხადება, რომელიც შესაძლებელია მოძიებული იქნეს შემდეგ გმულზე: www.mod.gov.ge/index.php?newsid=2390.

პატივისცემით,

ადმინისტრაცია \ ადმინისტრაცია
ადმინისტრაციის უფროსი
კონსტანტინე ყიფიანი

ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

ღირსება
თავისუფლება
თანასწორობა

Non-Profit Human Rights NGO Young Barristers
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "ახალგაზრდა ადვოკატები" www.barristers.ge

მედია–რელიზი **18.10.2013**

„ახალგაზრდა ადვოკატების" სპეციალური განცხადება

საქართველოს პრემიერ–მინისტრის, საქართველოს თავდაცვის მინისტრისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს განცხადებებთან დაკავშირებით

ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები" ვეხმაურებით საქართველოს პრემიერ–მინისტრის, ბატონ ბიძინა ივანიშვილის 17 ოქტომბრისა და საქართველოს თავდაცვის მინისტრის, ბატონ ირაკლი ალასანიას 18 ოქტომბრის განცხადებას, ასევე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ 18 ოქტომბერს გავრცელებულ საჯარო შეფასებას საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტებთან მიმართებით.

მიგვაჩნია, რომ საქართველოს პრემიერ–მინისტრის პოზიცია პასუხობს საზოგადოების ინტერესებს. დასაბუთებას და განმარტებას მოითხოვს ჯარისკაცების მოწამვლის საქმეზე გრიფით „საიდუმლოს" დადების მიზანშეწონილობა. ორგანიზაცია იმედოვნებს, რომ ფაქტებთან დაკავშირებით, გამოძიება მალე დასრულდება და საზოგადოება პრობლემის შესახებ დასაბუთებულ დასკვნას მიიღებს.

„ახალგაზრდა ადვოკატები" ვეხმაურებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურ განცხადებას, ხოლო მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ, უშუალოდ საქართველოს თავდაცვის მინისტრის, ბატონ ირაკლი ალასანიას შეფასებებს. ჩვენს გაკვირვებას იწვევს მინისტრის ზოგიერთი შეხედულება, რომლის თანახმადაც, „ახალგაზრდა ადვოკატების" მიერ სხვადასხვა პერიოდში გავრცელებული განცხადებები ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტების შესახებ, შეფასებულია, როგორც პროვოკაცია და ცრუ ინფორმაცია. მინისტრი მიუღებლად და დანაშაულად მიიჩნევს საქართველოს შეიარაღებულ ძალებთან დაკავშირებით მიზანმიმართულ ცრუ ინფორმაციის გავრცელებას. მისივე სიტყვებით, არსებობს ადამიანთა კატეგორია, რომლებსაც ის არ უყვართ, არ მოსწონთ, თუმცა კრიტიკა აბსოლუტურად მისაღებია, როგორც დემოკრატიის ნაწილი.

„ახალგაზრდა ადვოკატები" საქართველოს თავდაცვის მინისტრს მოვუწოდებთ, ორგანიზაციის უფლებადაცვითი საქმიანობის მიმართ გამოიჩინოს მეტი ყურადღება და კოლეგიალობა, რადგანაც დემოკრატიულ საზოგადოებაში, სწორედაც პრობლემებზე ღია მსჯელობა, დისკუსია და შეცდომების აღიარებაა მართველის მთავარი მაღალი პოლიტიკური და მორალური პასუხისმგებლობის

Tbilisi, Georgia, Saburtalo, Vazisubani str. #7
pryoungbarristers@gmail.com; pryoungbarristers@yahoo.com 551 081803

გამომხატველი და არა არაკეთიმოსურნეების ძიება და სიტყვებით თამაში. ორგანიზაცია პასუხისმგებელია ყველა საჯარო განცხადებასა და პოზიციაზე, რომელმაც საჯარისო ნაწილებში, სამხედროების მოწამვლის ცალკეულ შემთხვევები გამოამზეურა. მიგვაჩნია, რომ შემთხვევებთან დაკავშირებით, დასმული მთავარი შეკითხვები, ჩვენთვის ჯერ კიდევ პასუხგაუცემელია. ბატონო მინისტრო, ჩვენ გვაქვს შეკითხვების დასმის, პრობლემებზე მსჯელობის, მათ შორის თქვენი უწყების კონტროლის უფლება, როგორც არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს, ხოლო ფაქტებით, მტკიცებულებებითა და ანალიზით მსჯელობა, რომელსაც სამართლიანად მოითხოვთ, ჩვენი პროფესიული ვალდებულებაცაა. ჩვენ გვაქვს ყველა ჩვენს საჯარო აქტიურობაზე არგუმენტები და დასაბუთება. ამიტომაც, გვსურს, ვიდრე ლოჯისტიკის სფეროში არსებულ პრობლემებზე მსჯელობას დანაშაულის კატეგორიად მიიჩნევდეთ, გვემსჯელა ასეთი დანაშაულის ნიშნების არსებობაზე. ასევე უმჯობესი იქნებოდა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური მხრიდან ყურადღება გამახვილებულიყო „ახალგაზრდა ადვოკატების" მიერ გამომგზავნილ არა მხოლოდ 17 აგვისტოს წერილზე. ორგანიზაციამ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, მართლაც, არაერთი წერილით მოგმართათ, მათ შორის პროექტ „ინსტიტუციური დიალოგი აღმასრულებელ, საკანონმდებლო, სასამართლო ხელისუფლებასთან" ფარგლებში ირაკლი ალასანიასთან შეხვედრის შესახებ, თუმცა ჩვენთვის, მხოლოდ 17 ოქტომბერს, პრემიერთან მედიის წარმომადგენლების შეხვედრაზე გახდა ცნობილი, რომ სამხედრო ჯარისკაცების მოწამვლის საქმე გრიფით „საიდუმლოს" კატეგორიას მიეკუთვნებოდა. სამინისტროს ორგანიზაციის მიმართ გამოგზავნილ არც ერთ საპასუხო წერილში ამის შესახებ მითითებული არ ყოფილა. ჩვენთვის საქმის „გრიფირება" სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა, რაც, კიდევ ერთხელ გვაფიქრებინებს, რომ სამინისტროს ლოჯისტიკის სფეროში არსებული სამართლებრივი და სისტემური პრობლემები ირიბად დადასტურებულია.

ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ საჯარისო ნაწილებში არსებული პრობლემებისა და ცალკეული შემთხვევების მიუხედავად, საქართველოს თავდაცვის მინისტრი, ბატონი ირაკლი ალასანია, ერთ–ერთი თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწეა, რომელსაც გააჩნია მაღალი პროფესიონალიზმი და საჭირო გამოცდილება საქართველოს მომავლისათვის. „ახალგაზრდა ადვოკატები" ცალსახად ვაფიქსირებთ მინისტრის მიმართ პატივისცემას, თუმცა ამის მიუხედავად, მივუთითებთ, რომ ჩვენი უფლებადაცვითი საქმიანობა და პოზიციების ფორმირება ვერ იქნება რომელიმე საჯარო პოლიტიკური მოღვაწის მიმართ პირადი შეხედულებებით განპირობებული. ჩვენთვის მთავარია ძლიერი ინსტიტუციები, სისტემური ცვლილებები და ამ პროცესში მიღებული გადაწყვეტილებების კონტროლი.

ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

ღირსება
თავისუფლება
თანასწორობა

Non-Profit Human Rights NGO Young Barristers

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "ახალგაზრდა ადვოკატები" www.barristers.ge

„ახალგაზრდა ადვოკატები" 27 ოქტომბრამდე საზოგადოებას სპეციალურ ანგარიშს წარუდგენს, სადაც დეტალურად შეფასდება ორგანიზაციის საჯარო განცხადებები ჯარისკაცების მოწავლის ფაქტების შესახებ, სამინისტროსადმი გაგზავნილი და სამინისტროდან მიღებული წერილების შინაარსი, „ქართული კვების კომპანიასთან" ორგანიზაციის კომუნიკაცია, ლოჯისტიკის სფეროს სხვადასხვა უფლებამოსილი პირების მიერ მედიაში გამოთქმული შეფასებები და ყველა ის ინფორმაცია, რომელიც საკითხით დაინტერესებულ საზოგადოებას, თემასთან მიმართებით, სრულფასოვან წარმოდგენას შეუქმნის. ორგანიზაციის სურვილია, ანგარიშით საზოგადოებაში შეიქმნას და ჩამოყალიბდეს სწორი შინაგანი რწმენა – საჯარისო ნაწილებში ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტებზე, კერძოდ ფაქტების გასაჯაროება წარმოადგენს დანაშუალს, პროვოკაციას, მიზანმიმართულ ქმედებას თუ გამოხატავს ორგანიზაციის თანმიმდევრულ, პრინციპულ და ობიექტურ საქმიანობას.

Tbilisi, Georgia, Saburtalo, Vazisubani str. #7
pryoungbarristers@gmail.com; pryoungbarristers@yahoo.com 551 081803

ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

ღირსება
თავისუფლება
თანასწორობა

Non-Profit Human Rights NGO Young Barristers

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "ახალგაზრდა ადვოკატები" www.barristers.ge

ა.ა. #155

საქართველოს მთავარ პროკურორს,
ბატონ გიორგი ბადაშვილს

ა/ო „ახალგაზრდა ადვოკატები"
თბილისი, საბურთალო, ვაზისუბნის ქუჩა #7

განცხადება

(ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტებსა და ტენდერების შესახებ
გამოძიების მიმდინარეობის შესახებ)

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ 2013 წლიდან, ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები" დაინტერესებულია და სწავლობს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების სხვადასხვა ქვედანაყოფში ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტებს, თუმცა სამინისტროსთან კომუნიკაცია არ იძლევა მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის თემაზე სრულფასოვანი და ობიექტური ინფორმაციის მიღებას. სამინისტრომ მხოლოდ ერთი ფაქტის მიმართ დაადასტურა ჯარისკაცების მოწამვლის შემთხვევა. მოგვიანებით, საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, რომ საქმეს „გრიფით საიდუმლო" ჰქონდა მინიჭებული.

ა/ო „ახალგაზრდა ადვოკატებმა" 2014 წლის 4 აპრილს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, კიდევ ერთხელ მიმართა და ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტებზე „გრიფით საიდუმლოს" მოხსნა მოითხოვა. ამასთან, ორგანიზაციის ინტერესს წარმოადგენდა, თავდაცვის სამინისტროს საჯარო პოზიცია საჯარო უწყებაში ტენდერების გამჭვირვალობის საკითხებზე ინფორმაირება.

ორგანიზაცია, ამ მიმართულებით, არსებული ინფორმაციის და მიმდინარე გამოძიების გასაჯაროებას ამაოდ მოითხოვს. 2014 წლის 7 აპრილის გაზეთ „რეზონანსთან" ინტერვიუს დროს, **„საკითხზე სამინისტრომ მიუთითა, რომ მსგავს ინციდენტებზე არაერთხელ გაკეთებულა ამომწურავი კომენტარები და ახალს ვერაფერს იტყოდნენ".**

იქედან გამომდინარე, რომ ორგანიზაციამ აღნიშნულ საკითხებზე, საჯარო უწყებიდან გამოხმაურება ვერ მიიღო, ტოვებს ვარაუდს, რომ ჯარისკაცების მოწამვლის საქმეები, კვლავ „გრიფით საიდუმლოს" სტატუსით

Tbilisi, Georgia, Saburtalo, Vazisubani str. #7 551 081803
pryoungbarristers@gmail.com; pryoungbarristers@yahoo.com

სარგებლობს. მეტიც, სამხედრო მოსამსახურეების კვებითი უსაფრთხოებაში კვლავ პრობლემებია და ამ მიმართულებით, თავდაცვის სამინისტროში სისტემური ჩავარდნები გრძელდება.

„ახალგაზრდა ადვოკატები" მოითხოვს დაჩქარდეს გამოძიება და საზოგადოება ფლობდეს ინფორმაციას, 2014 წლის მანძილზე, შეიარაღებულ ძალებში, სხვადასხვა ქვეით ბრიგადაში, 200–ზე მეტი ჯარისკაცის მოწამვლის ფაქტებთან დაკავშირებით. გავრცელებული ინფორმაციით, უხარისხო საკვებით, სხვადასხვა პერიოდში, ჯარისკაცები მოიწამლნენ მე–4 ბრიგადაში, ალგეთის პოლიგონის 23–ე ბრიგადაში და უფლისციხეში, ლოჯისტიკის სამხედრო ნაწილში. უფლისციხის შემთხვევა 2014 წლის 24 მარტს მოხდა, სადაც 20–მდე სამხედრო პირი მოიწამლა. ორგანიზაციის შფასებით, ფაქტებთან დაკავშირებით, საქმის გამოძიება ჭიანურდება და არაეფექტურია.

„ახალგაზრდა ადვოკატები" მთავარ პ[როკურატურას სამინისტროს კვებითი უსაფრთხოების მიმართულებით არსებული საკითხების შესწავლისკენ მოუწოდებს. მნიშვნელოვანია, პროკურატურა დაინტერესდეს, რა პასუხისმგებლობა ეკისრებათ კვებით უზრუნველყოფაზე კონტრაქტორ კომპანიებსაც, ვინაიდან ღიად რჩება საკითხი, თუ როდემდე უნდა გრძელდებოდეს ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტები და მათზე არ ხდებოდეს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირების პასუხიმგებლობის საკითხის დასმა.

„ახალგაზრდა ადვოკატები" მთავარ პროკურატურას თავდაცვის სფეროში გამოცხადებული ტენდერების გამჭვირვალობის მიმართაც მოუწოდებს და მოითხოვს პროკურატურა დაინტერესედეს, რამდენად არსებობს შერჩევითი პრინციპი, როდესაც ტენდერებში გამარჯვებული კომპანიის ხელმძღვანელი პირები მინისტრთან დაახლოებული პირები არიან, ხოლო დამოუკიდებელი მოთამაშეები, სახელმწიფო ტენდერების მიღმა რჩებიან. ორგანიზაცია, ამ თვალსაზრისით, ყურადღებას დაუთმობს, ცნობილ შემთხვევას, რა დროსაც, თავდაცვის სამინისტროს არასაცხოვრებელი შენობების რეკონსტრუქციასა და კაპიტალურ რემონტს განახორციელებს შპს „არქიტექტურული ბიურო" (ს/ნ 404393483), რომლის ერთ–ერთი დამფუძნებელი და დირექტორი, თამარ ვალიშვილი, ირაკლი ალასანიასთან დაახლოებული პირია. ამასთან, არსებობს კითხვები, თავდაცვის სამინისტროს კიდევ ერთ ტენდერში, თუ რამდენად დასაბუთებულად ვერ მიიღო გამარჯვება კომპანია „დელტაკომმა", რომლის დამფუძნებელი, IBED-–ის პარტნიორი, „კავკასიის განვითარების ფონდია".

გაცნობებთ, რომ „ახალგაზრდა ადვოკატებმა", არა ერთხელ მიმართეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, რათა დროულად მომხდარიყო გადაწყვეტილებები სფეროში არსებული საკადრო, საორგანიზაციო და სისტემური პრობლემების დარეგულირებისთვის, თუმცა სამინისტრომ ორგანიზაციას ინსტიტუციური დიალოგის ფორმატში თანამშრომლობაზე უარი განუცხადა. ორგანიზაცია, რომელმაც 2013 წლის მანძილზე, საჯარო გახადა შეიარაღებულ ძალების ლოჯისტიკის სფეროში არსებული დარღვევები, სურვილის მიუხედავად, ვერ აღმოჩნდა იმ არასამთავრობო ორგანიზაციათა სამუშაო ჯგუფში, რომელიც თავდაცვის სამინისტროს შემადგენობაში შეიქმნა.

„ახალგაზრდა ადვოკატები" მიმართავს საქართველოს მთავარ პროკურატურას, რათა ორგანიზაციის მიმართ მოწოდებულ იქნეს შემდეგი სახის ინფორმაცია:

ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

ღირსება
თავისუფლება
თანასწორობა

Non-Profit Human Rights NGO Young Barristers

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "ახალგაზრდა ადვოკატები" www.barristers.ge

1. საქართველოს მთავარ პროკურატურაში, მიმდინარეობს თუ არა საქართველოს თავდაცვის სამინისტროში, 2013–2014 წლის განმავლობაში, ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტებთან დაკავშირებით, გამოძიება?
2. რა ეტაპზეა გამოძიების მიმდინარეობა და რა გონივრულ ვადებს საჭიროებს პროკურატირა ბრალის გამოკვეთისთვის ან/და საქმეზე შედეგების გაცნობისათვის?
3. საქართველოს მთავარ პროკურატურაში, მიმდინარეობს თუ არა საქართველოს თავდაცვის სამინისტროში, 2013–2014 წლების პერიოდში გამოცხადებული სახელმწიფო ტენდერების კანონიერების შესწავლის საკითხი. რა ეტაპზეა, ამ მიმართულებით, კომპანია „დელტაკომის" საქმე?
4. გთხოვთ, გამოხმაურება მოგვეწოდოს გონივრულ ვადებში.

პატივისცემით,

არჩილ კაიკაციშვილი

ა/ო „ახალგაზრდა ადვოკატების"
თანადამფუძნებელი და ხელმძღვანელი

08 აპრილი, 2014
ქ. თბილისი

Tbilisi, Georgia, Saburtalo, Vazisubani str. #7 551 081803
pryoungbarristers@gmail.com; pryoungbarristers@yahoo.com

ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

ღირსება
თავისუფლება
თანასწორობა

Non-Profit Human Rights NGO Young Barristers

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "ახალგაზრდა ადვოკატები" www.barristers.ge

მედია–რელიზი **31.07.2013**

„ახალგაზრდა ადვოკატები" – სამხედრო მოსამსახურეების კვებითი უსაფრთხოებაში პრობლემებია

უფლებადაცვითი ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები" საგანგაშოდ მიიჩნევენ საქართველოს შეიარაღებული ძალების კვების უსაფრთხოებაში არსებულ მდგომარეობას და მიმართავს საქართველოს თავდაცვის მინისტრს, საზოგადოებისთვის მიწოდებულ იქნეს ინფორმაცია, ვინ უზრუნველყოფს და რამდენად შესაბამისობაშია სტანდარტებთან სამხედრო მოსამსახურეთა კვებითი უზრუნველყოფა. ამის შესახებ დღეს გამართულ ბრიფინგზე, ორგანიზაციის ერთ–ერთმა ხელმძღვანელმა, არჩილ კაიკაციშვილმა განაცხადა.

ორგანიზაცია ითვალისწინებს შემთხვევას, რომელიც ქუთაისში, 11 სამხედრო მოსამსახურის მოწამვლის ფაქტთან დაკავშირებით, ცოტა ხნის წინ მოხდა. აგრეთვე, ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტები დაფიქსირდა გორში, ვაზიანსა და ფოთის სამხედრო ნაწილებში. ხოლო როგორც საზოგადოებრივ წრეებში გახდა ცნობილი, საკვები პროდუქტებით მოწამვლის გაუხმაურებელი შემთხვევა მოხდა სენაკის სამხედრო ბაზაზე. მოიწამლა 52 ჯარისკაცი. შემთხვევა 2013 წლის 25 ივლისს მოხდა.

ორგანიზაცია ყურადღებას ამახვილებს გარემოებაზე, რომლის შედეგადაც, სამხედრო მოსამსახურეები არანორმირებულიდან ნორმირებული კვებით რეჟიმზე გადავიდნენ, თუმცა უცნობია, რომელი კომპანიები იღებენ პასუხისმგებლობას უწყებაში ლოჯისტიკის სფეროს ეფექტურ მუშაობასა და უსაფრთხოებაზე.

ორგანიზაცია თავდაცვის სამინისტროს კვებითი უსაფრთხოების მიმართულებით კონტროლის გაძლიერებისკენ მოუწოდებს და მიმართავს, დააყენოს კვებით უზრუნველყოფაზე კონტრაქტორი კომპანიების პასუხისმგებლობა, თუ ეს ინფორმაცია დადასტურდება.

არსებული ინფორმაციით, დღეს კომპანია „ქართული კვება" შეიარაღებულ ძალების სისტემაში ლიდერი კონტრაქტორია, რომელიც სფეროში ფაქტობრივ მონოპოლიას ფლობს. შესაბამისად, ჯარისკაცების მოწამვლის შემთხვევები, აუცილებლობას ბადებს, მეტი სიცხადე და გამჭვირვალობა არსებობდეს კვებით უსაფრთხოების სფეროში, ხოლო სამინისტრომ და მინისტრმა გაცილებით მეტი ყურადღება უნდა გამოიჩინოს ამ მიმართულებით. განაახლოს სატენდერო კონკურსი, რადგანაც

Tbilisi, Georgia, Saburtalo, Vazisubani str. #7
pryoungbarristers@gmail.com; pryoungbarristers@yahoo.com 551 081803

კომპანიები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ სამინისტროს მიერ 2013 წლის თებერვალში გამოცხადებულ 4 ტენდერში, გამოირჩეოდნენ ფასთა სხვაობით და შემოთავაზებული მომსახურების ხარისხით.

„ახალგაზრდა ადვოკატები" განმარტებებს მოითხოვს, თუ რამდენად დგას აუცილებლობა შეიარაღებული ძალების კვების უზრუნველყოფისთვის, 2013 წლის ივნისში შეწყვეტილი ტენდერები განახლდეს.

ამასთან, მნიშვნელოვანია სამინისტროს და მინისტრის მხრიდან გაკეთდეს განმარტებები, სამხედრო მოსამსახურეთა არანორმირებული კვების სისტემის დატოვება, საბოლოო გადაწყვეტილებაა თუ დროებითი გარემოება და რა ცვლილებები იგეგმება ამ მიმართულებით.

ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

ღირსება
თავისუფლება
თანასწორობა

Non-Profit Human Rights NGO Young Barristers

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "ახალგაზრდა ადვოკატები" www.barristers.ge

მედია–რელიზი

08.04.2014

„ახალგაზრდა ადვოკატებმა" თავდაცვის სამინისტროში, ჯარისკაცების მოწამვლისა და ტენდერების საკითხებზე, მთავარ პროკურატურას მიმართეს

არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატებმა" საქართველოს მთავარ პროკურატურაში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროში, ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტებზე, გამოძიების დაჩქარების მოთხოვნით, განცხადება შეიტანეს. ორგანიზაციის ინტერესს წარმოადგენს, ოფიციალური ინფორმაციის ხელმისწავდომობა, მიმდინარეობს თუ არა საქართველოს მთავარ პროკურატურაში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროში, 2013–2014 წლების განმავლობაში, ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტებთან დაკავშირებით, გამოძიება, რა ეტაპზეა გამოძიება და რა გონივრულ ვადებს საჭიროებს პროკურატურა ბრალის გამოკვეთისთვის ან/და საქმეზე შედეგების გამოქვეყნებისთვის. ამასთან, ორგანიზაცია თავდაცვის სამინისტროში, 2013–2014 წლების პერიოდში, გამოცხადებული სახელმწიფო ტენდერების კანონიერების შესწავლის საკითხითაც დაინტერესდა და პროკურატურას მიმართა, მიმდინარეობს თუ არა ამ მიმართულებით მუშაობა და რა ეტაპზეა, ამ მიმართულებით, კომპანია „დელტაკომის" ცნობილი საქმე.

„ახალგაზრდა ადვოკატების" ხელმძღვანელის, არჩილ კაიკაციშვილის განცხადებით, მნიშვნელოვანია საკითხით საქართველოს პრემიერ–მინისტრი, ირაკლი ღარიბაშვილიც დაინტერესდეს. ორგანიზაცია მოითხოვს, პრემიერმა, წინამორბედის მსგავსად, დაინტერესდეს, ჯარისკაცების მოწამვლის საქმეები, კვლავ რატომ სრაგებლობს „გრიფით საიდუმლოს" სტატუსით. ამასთან, არჩილ კაიკაციშვილი ირაკლი ღარიბაშვილს მიმართავს დაინტერესდეს, მთავრობის კაბინეტის წევრის, ირაკლი ალასანიას სამინისტროში, ხდება თუ არა სახელმწიფო ტენდერების მოგება შერჩევითი პრინციპით.

ცნობისთის: ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატებმა" თავდაცვის სამინისტროს არა ერთხელ მიმართეს, რათა დროულად მომხდარიყო გადაწყვეტილებები სფეროში არსებული საკადრო, საორგანიზაციო და სისტემური პრობლემების დარეგულირებისთვის, თუმცა სამინისტრომ ორგანიზაციას ინსტიტუციური დიალოგის ფორმატში თანამშრომლობაზე უარი განუცხადა.

ორგანიზაციამ მოითხოვს დაჩქარდეს გამოძიება და საზოგადოება ფლობდეს ინფორმაციას, როგორც ჯარისკაცების მოწამვლის შემთხვევებზე, აგრეთვე უწყებაში სახელმწიფო ტენდერების გამჭვირვალობის ფაქტებზე.

Tbilisi, Georgia, Saburtalo, Vazisubani str. #7
pryoungbarristers@gmail.com; pryoungbarristers@yahoo.com 551 081803

ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

ღირსება
თავისუფლება
თანასწორობა

Non-Profit Human Rights NGO Young Barristers
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "ახალგაზრდა ადვოკატები" www.barristers.ge

მედია–რელიზი **17.08.2013**

თავდაცვის სამინისტროში საკადრო და სისტემური პრობლემები გრძელდება

არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები" საქართველოს თავდაცვის სამინისტროში სისტემური პრობლემების შესახებ მინისტრ ირაკლი ალასანიას კიდევ ერთხელ მიმართავს.

ორგანიზაცია ყურადღებას ამახვილებს სამინისტროში არსებულ საკადრო პრობლემებსა და შეიარაღებულ ძალებში შექმნილ ვითარებაზე. კერძოდ, როგორც „ახალგაზრდა ადვოკატებს" სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახის წევრებმა აცნობეს, შეიარაღებული ძალების სამხედრო ნაწილებში ინფექციური დაავადებების რიცხვმა იმატა. საუბარია ჩუტყვავილას მასობრივ გავრცელებაზე გორის სამხედრო ბაზაზე დისლოცირებულ ვაშლიჯვრის სპეცნაზმის მოსამსახურეებში.

მიღებული ინფორმაციით, სამხედრო მოსამსახურეების მიმართ, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის პროცესში, დაშვებულ იქნა შეცდომა. ჩუტყვავილას ვაქცინაციის ნაცვლად, განხორციელდა სხვა ვირუსული დაავადების საწინააღმდეგო სამედიცინო დახმარება.

„ახალგაზრდა ადვოკატებს" მიგვაჩნია, რომ უკვე მერამდენედ, საქართველოს თავდაცვის სამინისტროში, სისტემურ და საკადრო პრობლემებს აქვს ადგილი. ორგანიზაცია მიუთითებს, რომ ასეთი შემთხვევები არაპროფესიონალიზმზე და სისტემაში საკადრო პოლიტიკის ხარვეზებზე მიუთითებს. ამიტომაც, მნიშვნელოვანია, შესწავლილ იქნეს, როგორც გორის სამხედრო ბაზაზე მომხდარი ფაქტი, ასევე მინისტრმა გადახედოს საკადრო პოლიტიკას. პასუხს მოითხოვს პრესაში გამოქვეყნებული ინფორმაციაც. რომლის თანახმადაც, თავდაცვის სამინისტროში, დღემდე, მაღალ თანამდებობებს, კოდ–ის და სოდი–ის ყოფილი მაღალი უფლებამოსილების მქონე პირები იკავებენ.

„ახალგაზრდა ადვოკატები" მიმართავს თავდაცვის მინისტრს, რათა უზრუნველყოს უწყების ყველაზე მნიშვნელოვანი – უსაფრთხოების დაცვა სწორი საკადრო პოლიტიკით. ამ თვალსაზრისით, პასუხს საჭიროებს საკადრო პოლიტიკა სამხედრო პოლიციაშიც. არსებული ინფორმაციით, სწორედ სამხედრო პოლიციაა დაკომპლექტებული კუდ–ისა და სოდ–ის ყოფილი თანამშრომლებით. აგრეთვე, საუბარია საკადრო პოლიტიკის მიმართულებით არსებულ ნეპოტიზმის ფაქტებზე, რაც საერთო ჯამში, სერიოზულ გადახედვას საჭიროებს. სამინისტროს მხრიდან, ამ მიმართულებით, უპასუხოდაა დატოვებული 2013 წლის 9 აგვისტოს, გაზეთ „რეზონანსში"გამოქვეყნებულ პუბლიკაციაც, რომლიც საკადრო პოლიტიკის შეცდომებზე კონკრეტულ ფაქტებს შეიცავს.

Tbilisi, Georgia, Saburtalo, Vazisubani str. #7
pryoungbarristers@gmail.com; pryoungbarristers@yahoo.com 551 081803

„ახალგაზრდა ადვოკატები" კიდევ ერთხელ მივმართავთ საქართველოს თავდაცვის მინისტრს, რათა დროულად მიიღოს გადაწყვეტილებები სფეროში არსებული საკადრო, საორგანიზაციო და სისტემური პრობლემების დარეგულირებისთვის. სამწუხაროა, როდესაც სამინისტრო დღემდე უპასუხოდ ტოვებს ორგანიზაციის მიერ გახმაურებულ ფაქტს, სენაკის სამხედრო ბაზაზე, 52 ჯარისკაცის საკვებით მოწამვლის შესახებ. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული შემთხვევაც, სწორედ არასწორი მმართვის მენეჯმენტისა და საკადრო პოლიტიკის შედეგია.

ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

ღირსება
თავისუფლება
თანასწორობა

Non-Profit Human Rights NGO Young Barristers

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "ახალგაზრდა ადვოკატები" www.barristers.ge

მედია–რელიზი **28.09.2013**

„ახალგაზრდა ადვოკატები" – თავდაცვის სამინისტრო ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტებზე კვლავ სდუმს

„ახალგაზრდა ადვოკატები" საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ჯარისკაცების საკვებით მოწამვლის ფაქტს კიდევ ერთხელ ვეხმაურებით. ორგანიზაცია, მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მიუთითებს, რომ 16–22 სექტემბრის შუალედში, 330 ჯარისკაცის მოწამვლის ფაქტი კვლავ დაფიქსირდა, კერძოდ 31–ე ქარხნის ტერიტორიაზე არსებულ ბრიგადაში, მე–11 ბრიგადასა და საინჟინრო ბრიგადაში. ბოლო პერიოდში, ჯარისკაცების მოწამვლის გახშირებული ფაქტები, კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების კვების უსაფრთხოებაში არსებული პრობლემები გამოუსწორებელია და შეცვლილი მენეჯმენტი სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს ლოჯისტიკის სფეროში არსებული საკითხების შესაბამის გადაწყვეტას და ხარვეზების აღმოფხვრას.

„ახალგაზრდა ადვოკატები" კიდევ ერთხელ მივმართავთ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტებზე, მინისტრს, სათანადო რეაგირებისკენ მოუწოდებს. მართალია, კომპანია „ქართული კვების" მენეჯმენტი შეიცვალა, რომელიც თავდაცვის სფეროში კვებითი უზრუნველყოფის მიმართულებით, ერთ–ერთი მთავარი კონტრაქტორია, თუმცა სამხედრო მოსამსახურეების საკვები პროდუქტებით მოწამვლის ფაქტი კვლავ სისტემურ პრობლემად რჩება. ორგანიზაცია სამინისტროს კვებითი უსაფრთხოების მიმართულებით კონტროლის გაძლიერებისკენ ისევ მოუწოდებს და მიმართავს, დააყენოს კვებით უზრუნველყოფაზე კონტრაქტორი კომპანიების პასუხისმგებლობა და თითოეული გამოვლენილი შემთხვევის მიმართ, ჰქონდეს მკაცრი რეაგირება, ვინაიდან საზოგადოებისთვის უცნობია, რომელი კომპანიები იღებენ პასუხისმგებლობას უწყებაში ლოჯისტიკის სფეროს ეფექტურ მუშაობასა და უსაფრთხოებაზე, როდემდე უნდა გრძელდებოდეს ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტები და არ ხდებოდეს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირების პასუხიმგებლობის საკითხის დასმა.

„ახალგაზრდა ადვოკატები", უკვე მერამდენედ ვეხმაურებით თავდაცვის სამინისტროს ლოჯისტიკის სფეროში არსებულ ვითარებას. ორგანიზაცია სრულად იზიარებს იმ პასუხისმგებლობას, რომელიც საკითხზე მსჯელობას და დასაბუთებას ახლავს. 2013 წლის 31 ივლისს გამართულ ბრიფინგზე, „ახალგაზრდა ადვოკატებმა" საზოგადოებას მივაწოდეთ ინფორმაცია საკვები პროდუქტებით მოწამვლის გაუხმაურებელი შემთხვევის შესახებ, რომელიც სენაკის სამხედრო ბაზაზე მოხდა. მაშინ

Tbilisi, Georgia, Saburtalo, Vazisubani str. #7
pryoungbarristers@gmail.com; pryoungbarristers@yahoo.com 551 081803

მოიწამლა 52 ჯარისკაცი და ფაქტი 25 ივლისს მოხდა. განცხადებას სამინისტროს ზოგიერთმა უფლებამოსილმა პირმა დაუსაბუთებელი უწოდა, თუმცა მოგვიანებით, სამინისტრომ, თავისი წერილით, სენაკის სამხედრო ბაზაზე ჯარისკაცთა მოწამვლის ფაქტი დაადასტურა და 2013 წლის 23 აგვისტოს წერილით ცნობილი გახდა, რომ ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, დანიშნულია ექსპერტიზა და მიმდინარეობს გამოძიება.

„ახალგაზრდა ადვოკატები", მოცემულ შემთხვევაშიც უტყუარს უწოდებს 320 ჯარისკაცის მოწამვლის ფაქტს 31–ე ქარხნის ტერიტორიაზე არსებულ ბრიგადაში, მე–11 ბრიგადასა და საინჟინრო ბრიგადაში. შესაბამისად, ორგანიზაცია გამოთქვამს იმედს, რომ სამინისტრო ფაქტის მიჩქმალვას არ შეეცდება.

ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

ღირსება
თავისუფლება
თანასწორობა

Non-Profit Human Rights NGO Young Barristers

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "ახალგაზრდა ადვოკატები" www.barristers.ge

მედია–რელიზი **07.10.2013**

„ახალგაზრდა ადვოკატები" – თავდაცვის სამინისტროს ლოჯისტიკის უსაფრთხოების ძირეულ კონტროლს მოითხოვს

ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები", ბოლო სამი თვის განმავლობაში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ ჯარისკაცების საკვებით მოწამვლის გახშირებულ ფაქტებთან დაკავშირებით საჯარო განცხადებებს აკეთებს, თუმცა დღემდე რეაგირების გარეშე რჩება ფაქტებთან დაკავშირებული მიმართვები, ლოჯისტიკის სფეროში სამართლებრივი და სისტემური პრობლემები კი ისევ გრძელდება.

ორგანიზაციამ, 31 ივლისსა და 28 ოქტომბერს, საზოგადოებას მიაწოდა ინფორმაცია 1) სენაკის სამხედრო ბაზაზე, ივლისის თვეში 52 ჯარისკაცის მოწავლისა და 2) 16–22 სექტემბრის შუალედში, 31–ე ქარხნის ტერიტორიაზე არსებულ ბრიგადაში, მე–11 ბრიგადასა და საინჟინრო ბრიგადაში 330 ჯარისკაცის მოწამვლის ფაქტები. პირველი შემთხვევა სამინისტრომ დაადასტურა, მეორე ფაქტთან დაკავშირებით კი, სამინისტრომ საჯარო განცხადებაში, კომენტარი არ გააკეთა. ორგანიზაცია კვლავ ფლობს ინფორმაციას ჯარისკაცების საკვები პროდუქტებით მოწამვლასთან დაკავშირებით. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, შემთხვევა ვაზიანის სამხედრო ბაზაზე, I ქვეით ბრიგადაში მოხდა. მიღებული ინფორმაციით, კვებითი ინტოქსიკაციით მოიწამლა 20 სამხედო მოსამსახურე.

„ახალგაზრდა ადვოკატები" მოვითხოვთ, დაუყოვნებლივ დაიწყოს სამხედრო ნაწილებში არსებული სასადილოების შემოწმება, მათ შორის ჰიგიენური ნორმების დადგენის მიზნით და უმკაცრესად დაისაჯონ პირები, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ სფეროს გამართულ მენეჯმენტს და უმოქმედობით ზიანს აყენებენ, როგორც სამინისტროს, ასევე საჯარისო ნაწილებს. ორგანიზაციას გააჩნია ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, გაუმართავია ინფრასტრუქტურა რამდენიმე სამხედრო ნაწილში. მაგალითად, მარნეულსა და ვაზიანის შენაერთებში არსებობს სასადულოებისა და საშხაპეების ნორმალური ფუნქციონირების პრობლემები. მართალია, ვაზიანის სამხედო ბაზა გარემონტდა, თუმცა არსებული მდგომარეობით, გაუმართავია საკანალიზაციო სისტემა. ყოველივე ეს, სერიოზულ დისკოფორტს ქმნის ჯარისკაცებისათვის და მომსახურე პერსონალთათვის.

ორგანიზაცია მომავალშიც გამოავლენს შემთხვევებს და მიუთითებს საჯარო უწყებას, მიიღოს შესაბამისი ზომები პრობლემების აღმოსაფხვრელად. სამწუხაროდ, ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტები, მხოლოდ მიუთითებს საქართველოს შეიარაღებული ძალების კვების უსაფრთხოებაში არსებულ პრობლემების გამოუსწორებლობაზე. მართალია, კომპანია „ქართული კვების" მენეჯმენტი შეიცვალა, რომელიც თავდაცვის სფეროში კვებითი უზრუნველყოფის მიმართულებით, ერთ–ერთი მთავარი კონტრაქტორია, თუმცა სამხედრო მოსამსახურეების საკვები პროდუქტებით მოწამვლის ფაქტი კვლავ რეალობაა. ორგანიზაცია სამინისტროს მიმართავს, დააყენოს კვებით უზრუნველყოფაზე კონტრაქტორი კომპანიების პასუხისმგებლობა და

Tbilisi, Georgia, Saburtalo, Vazisubani str. #7
pryoungbarristers@gmail.com; pryoungbarristers@yahoo.com 551 081803

თითოეული გამოვლენილი შემთხვევის მიმართ, ჰქონდეს მკაცრი რეაგირება. ორგანიზაციას კომპანიის მიმართ უკვე გააჩნია შესაბამისი შეკითხვებიც:

1. *რა პრობლემები მოაგვარა ან ვერ მოაგვარა კომპანია „ქართული კვების" ახალმა მენეჯმენტმა?*
2. *რამდენად შეძლო კომპანიამ პრიორიტეტად გამოცხადებული კვების ხარისხის ზრდა და მუშა პროცესების შეპირებული მმართვა?*
3. *რამდენად სრულყოფილად მოხდა დაპირებული სასადილოების პერსონალის ინდივიდუალური საქმეების შესწავლა და რა საკადრო ცვლილებები განხორციელდა ამ მიმართულებით?*
4. *რომელ საჯარისო ნაწილებში დაასრულდა სასადილოების რემონტი, რა პერიოდი დასჭირდა თითოეული სასადილოს მოწესრიგებას?*
5. *ვის მიერ და რა პერიოდულობით მოწმდება შინაგანაწესი, რომელიც პერსონალს მაღალ ჰიგიენურ სტანდარტს ავალდებულებს, გამოვლინდა თუ არა გადაცდომები ასეთი შესაძლო კონტროლის პროცესში?*
6. *რა კონტროლის მექანიზმია ჩართული საკვები პროდუქტების ვარგისიანობის შესამოწმებლად? მონაწილეობს თუ არა კონტროლის მექანიზმში საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტო?*
7. *რამდენად მაღალი ჰიგიენური სტანდარტებით გამოირჩევა ადგილები, სადაც დასაწყობებული საკვები პროდუქტები ინახება?*
8. *რა ღირებულების შესყიდვებს ანხორციელებს „ქართული კვების კომპანია?"*

თუკი სამინისტროს შესაბამის რეაგირება „ქართული კვების" კომპანიის მენეჯმენტის საქმიანობაზე მხოლოდ იმ მიზეზით არ ხდება, რომ კომპანიის დირექტორის მოადგილე, ეკა ხურციძე მინისტრის ოჯახის ახლობელია, ასეთი მიდგომები კიდევ უფრო მეტად დააზიანებს საერო საქმეს. ამიტომაც, მივმართავთ სამინისტროს გენერალური ინსპექციას, სამხედრო პოლიციას, ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის ხარისხის კონტროლის განყოფილების შესაბამისს წარმომადგენლებს, რომ უპასუხოდ არ დატოვოს ლოჯისტიკის გამართულობასთან დაკავშირებული არც ერთი კითხვა.

ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

ღირსება
თავისუფლება
თანასწორობა

Non-Profit Human Rights NGO Young Barristers

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "ახალგაზრდა ადვოკატები" www.barristers.ge

მედია–რელიზი **17.10.2013**

„ახალგაზრდა ადვოკატები" ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტების გამოძიებისთვის მთავარ პროკურატურას მიმართავს

სპეციალური განცხადება

არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატებმა," ბოლო სამი თვის განმავლობაში, საქართველოს შეიარაღებულ ძალების სამხედრო მოსამსახურეთა კვების სფეროში არსებული საგანგაშო ვითარების შესახებ, არაერთი განცახდება გაავრცელა. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ბოლო ერთი წლის განმავლობაში, უხარისხო საკვების მიღების შედეგად შვიდასამდე ჯარისკაცი მოიწამლა. კვებითი ინტოქსიკაციის უმძიმესი ფაქტები დაფიქსირდა ვაზიანის, სენაკისა და ქუთაისის სამხედრო ბაზებზე, აგრეთვე, ოცდამეტერთმეტე ქარხანასთან არსებულ სამხედრო დანაყოფსა და საინჟინრო ბრიგადაში. ჯარისკაცების მასობრივი მოწამვლის ბოლო ფაქტს მიმდინარე წლის 10 ოქტომბერს ჰქონდა ადგილი.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ ორგანიზაციის განცხადებებს დაუსაბუთებული უწოდა, თუმცა, მოგვიანებით, თავადვე დაადასტურეს, რომ სამხედრო მოსამსახურეთა მოწამვლის ფაქტებზე სამხედრო პოლიციაში მიმდინარეობდა გამოძიება.

სამხედრო მოსამსახურეთა მოწამვლის ფაქტების მზარდი დინამიკა ცალსახად მიუთითებს, რომ თავდაცვის სამინისტრო არანაირ ქმედითი ნაბიჯებს არ დგამს სიტუაციის გამოსწორების კუთხით, ხოლო შიდა უწყებრივი გამოძიება ატარებს ფორმალურ ხასიათს, რადგან დღემდე არავის პასუხისმგებლობის საკითხი არ დამდგარა.

„ახალგაზრდა ადვოკატებს" მიგვაჩნია, რომ თავდაცვის სამინისტროში აშკარად იკვეთება ინტერესთა კონფლიქტი და სიტუაციის გამოსწორების არანაირი პერსპექტივა არ ჩანს, ვინაიდან თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ „ქართული კვების კომპანიას" მართავს თავდაცვის მინისტრის მეუღლის მეჯვარე და უახლოეს მეგობარი, ქალბატონი ეკა ხურციძე, ხოლო სამხედრო პოლიციის საგამოძიებო სამმართველოს უფროსად დანიშნულია წარსულში კორუფციისთვის ნასამართლევი მიხეილ ჭანუყვაძე.

Tbilisi, Georgia, Saburtalo, Vazisubani str. #7
pryoungbarristers@gmail.com; pryoungbarristers@yahoo.com 551 081803

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავარი პროკურორი ვალდებულია, ესოდენ აშკარა ინტერესთა კონფლიქტის აღმოსაფხვრელად, აღნიშნული სისხლის სამართლის საქმეები გამოსაძიებლად უშუალოდ პროკურატურის ორგანოებს დაუქვემდებაროს.

ამასთან „ახალგაზრდა ადვოკატები" მივმართავთ საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბატონ ბიძინა ივანიშვილს, განსაკუთრებულ კონტროლზე აიყვანოს თავდაცვის სამინისტროში არსებული საგანგაშო მდგომარეობა, ვინაიდან საკითხი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას და სახელმწიფო უსაფრთხოებას ეხება.

ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

ღირსება
თავისუფლება
თანასწორობა

Non-Profit Human Rights NGO Young Barristers
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "ახალგაზრდა ადვოკატები" www.barristers.ge

მედია–რელიზი

04.04.2014

„ახალგაზრდა ადვოკატები" – თავდაცვის სამინისტრომ ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტებს „გრიფით საიდუმლო" უნდა მოხსნას, ხოლო ტენდერები გამჭვირვალე გახადოს

ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები", საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართავს და მოითხოვს საზოგადოებისთვის ცნობილი გახდეს, საქართველოს შეიარაღებულ ძალებში, ჯარისკაცების საკვებით მოწამვლის ფაქტები, კვლავ „გრიფით საიდუმლო" კატეგორიას განეკუთვნება თუ შესაძლებელია, ხელმისაწვდომი იყო საქმეებთან დაკავშირებით საგამოძიებო მოქმედებების შედეგები.

„ახალგაზრდა ადვოკატების" ხელმძღვანელის, არჩილ კაიკაციშვილის განცხადებით, ორგანიზაციამ აღნიშნულ ინფორმაციაზე, საჯარო უწყებიდან გამოხმაურება ვერ მიიღო, რაც ტოვებს ვარაუდს, რომ ჯარისკაცების მოწამვლის საქმეები, კვლავ „გრიფით საიდუმლოს" სტატუსით სარგებლობს. მეტიც, სამხედრო მოსამსახურეების კვებითი უსაფრთხოებაში კვლავ პრობლემებია და ამ მიმართულებით, თავდაცვის სამინისტროში სისტემური ჩავარდნები გრძელდება.

„ახალგაზრდა ადვოკატები" მოითხოვს დაჩქარდეს გამოძიება და საზოგადოება ფლობდეს ინფორმაციას, 2014 წლის მანძილზე, შეიარაღებულ ძალებში, სხვადასხვა ქვეით ბრიგადაში, 200–ზე მეტი ჯარისკაცის მოწამვლის ფაქტებთან დაკავშირებით. გავრცელებული ინფორმაციით, უხარისხო საკვებით, სხვადასხვა პერიოდში, ჯარისკაცები მოიწამლნენ მე–4 ბრიგადაში, ალგეთის პოლიგონის 23–ე ბრიგადაში და უფლისციხეში, ლოჯისტიკის სამხედრო ნაწილში. უფლისციხის შემთხვევა 2014 წლის 24 მარტს მოხდა, სადაც 20–მდე სამხედრო პირი მოიწამლა. ორგანიზაციის შფასებით, ფაქტებთან დაკავშირებით, საქმის გამოძიება ჭიანურდება და არაეფექტურია.

„ახალგაზრდა ადვოკატები" სამინისტროს კვებითი უსაფრთხოების მიმართულებით კონტროლის გაძლიერებისკენ ისევ მიმართავს, რათა მოხდეს კვებით უზრუნველყოფაზე კონტრაქტორი კომპანიების პასუხისმგებლობა, ვინაიდან ღიად რჩება საკითხი, თუ როდემდე უნდა გრძელდებოდეს ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტები და მათზე არ ხდებოდეს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირების პასუხიმგებლობის საკითხის დასმა.

„ახალგაზრდა ადვოკატები" მინისტრ ირაკლი ალასანიას, თავდაცვის სფეროში გამოცხადებული ტენდერების გამჭვირვალობის მიმართაც მოუწოდებს და მოითხოვს განმარტებებს, რამდენად არსებობს შერჩევითი პრინციპი, როდესაც ტენდერებში გამარჯვებული კომპანიის ხელმძღვანელი პირები მინისტრთან დაახლოებული პირები არიან, ხოლო დამოუკიდებელი მოთამაშეები, სახელმწიფო ტენდერების მიღმა რჩებიან. ორგანიზაცია, ამ თვალსაზრისით, ყურადღებას დაუთმობს, ცნობილ შემთხვევას, რა დროსაც,

Tbilisi, Georgia, Saburtalo, Vazisubani str. #7
pryoungbarristers@gmail.com; pryoungbarristers@yahoo.com 551 081803

თავდაცვის სამინისტროს არასაცხოვრებელი შენობების რეკონსტრუქციასა და კაპიტალურ რემონტს განახორციელებს შპს „არქიტექტურული ბიურო" (ს/ნ 404393483), რომლის ერთ–ერთი დამფუძნებელი და დირექტორი, თამარ ვალიშვილი, ირაკლი ალასანიასთან დაახლოებული პირია. ამასთან, არსებობს კითხვები, თავდაცვის სამინისტროს კიდევ ერთ ტენდერში, თუ რამდენად დასაბუთებულად ვერ მიიღო გამარჯვება კომპანია „დელტაკომმა", რომლის დამფუძნებელი, IBED—ის პარტნიორი, „კავკასიის განვითარების ფონდია".

„ახალგაზრდა ადვოკატებმა", არა ერთხელ მიმართეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, რათა დროულად მომხდარიყო გადაწყვეტილებები სფეროში არსებული საკადრო, საორგანიზაციო და სისტემური პრობლემების დარეგულირებისთვის, თუმცა სამინისტრომ ორგანიზაციას ინსტიტუციური დიალოგის ფორმატში თანამშრომლობაზე უარი განუცხადა. ორგანიზაცია, რომელმაც 2013 წლის მანძილზე, საჯარო გახადა შეიარაღებულ ძალების ლოჯისტიკის სფეროში არსებული დარღვევები, სურვილის მიუხედავად, ვერ აღმოჩნდა იმ არასამთავრობო ორგანიზაციათა სამუშაო ჯგუფში, რომელიც თავდაცვის სამინისტროს შემადგენობაში შეიქმნა.

ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

ღირსება
თავისუფლება
თანასწორობა

Non-Profit Human Rights NGO Young Barristers
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "ახალგაზრდა ადვოკატები" www.barristers.ge

ა.ა. #155

საქართველოს მთავარ პროკურორს,
ბატონ გიორგი ბადაშვილს

ა/ო „ახალგაზრდა ადვოკატები"
თბილისი, საბურთალო, ვაზისუბნის ქუჩა #7

განცხადება

(ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტებსა და ტენდერების შესახებ
გამოძიების მიმდინარეობის შესახებ)

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ 2013 წლიდან, ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები" დაინტერესებულია და სწავლობს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების სხვადასხვა ქვედანაყოფში ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტებს, თუმცა სამინისტროსთან კომუნიკაცია არ იძლევა მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის თემაზე სრულფასოვანი და ობიექტური ინფორმაციის მიღებას. სამინისტრომ მხოლოდ ერთი ფაქტის მიმართ დაადასტურა ჯარისკაცების მოწამვლის შემთხვევა. მოგვიანებით, საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, რომ საქმეს „გრიფით საიდუმლო" ჰქონდა მინიჭებული.

ა/ო „ახალგაზრდა ადვოკატებმა" 2014 წლის 4 აპრილს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, კიდევ ერთხელ მიმართა და ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტებზე „გრიფით საიდუმლოს" მოხსნა მოითხოვა. ამასთან, ორგანიზაციის ინტერესს წარმოადგენდა, თავდაცვის სამინისტროს საჯარო პოზიცია საჯარო უწყებაში ტენდერების გამჭვირვალობის საკითხებზე ინფორმაირება.

ორგანიზაცია, ამ მიმართულებით, არსებული ინფორმაციის და მიმდინარე გამოძიების გასაჯაროებას ამაოდ მოითხოვს. 2014 წლის 7 აპრილის გაზეთ „რეზონანსთან" ინტერვიუს დროს, „საკითხზე სამინისტრომ მიუთითა, რომ მსგავს ინციდენტებზე არაერთხელ გაკეთებულა ამომწურავი კომენტარები და ახალს ვერაფერს იტყოდნენ".

იქედან გამომდინარე, რომ ორგანიზაციამ აღნიშნულ საკითხებზე, საჯარო უწყებიდან გამოხმაურება ვერ მიიღო, ტოვებს ვარაუდს, რომ ჯარისკაცების მოწამვლის საქმეები, კვლავ „გრიფით საიდუმლოს" სტატუსით

Tbilisi, Georgia, Saburtalo, Vazisubani str. #7 551 081803
pryoungbarristers@gmail.com; pryoungbarristers@yahoo.com

სარგებლობს. მეტიც, სამხედრო მოსამსახურეების კვებითი უსაფრთხოებაში კვლავ პრობლემებია და ამ მიმართულებით, თავდაცვის სამინისტროში სისტემური ჩავარდნები გრძელდება.

„ახალგაზრდა ადვოკატები" მოითხოვს დაჩქარდეს გამოძიება და საზოგადოება ფლობდეს ინფორმაციას, 2014 წლის მანძილზე, შეიარაღებულ ძალებში, სხვადასხვა ქვეით ბრიგადაში, 200–ზე მეტი ჯარისკაცის მოწამვლის ფაქტებთან დაკავშირებით. გავრცელებული ინფორმაციით, უხარისხო საკვებით, სხვადასხვა პერიოდში, ჯარისკაცები მოიწამლნენ მე–4 ბრიგადაში, ალგეთის პოლიგონის 23–ე ბრიგადაში და უფლისციხეში, ლოჯისტიკის სამხედრო ნაწილში. უფლისციხის შემთხვევა 2014 წლის 24 მარტს მოხდა, სადაც 20–მდე სამხედრო პირი მოიწამლა. ორგანიზაციის შფასებით, ფაქტებთან დაკავშირებით, საქმის გამოძიება ჭიანურდება და არაეფექტურია.

„ახალგაზრდა ადვოკატები" მთავარ პ[როკურატურას სამინისტროს კვებითი უსაფრთხოების მიმართულებით არსებული საკითხების შესწავლისკენ მოუწოდებს. მნიშვნელოვანია, პროკურატურა დაინტერესდეს, რა პასუხისმგებლობა ეკისრებათ კვებით უზრუნველყოფაზე კონტრაქტორ კომპანიებსაც, ვინაიდან ღიად რჩება საკითხი, თუ როდემდე უნდა გრძელდებოდეს ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტები და მათზე არ ხდებოდეს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირების პასუხიმგებლობის საკითხის დასმა.

„ახალგაზრდა ადვოკატები" მთავარ პროკურატურას თავდაცვის სფეროში გამოცხადებული ტენდერების გამჭვირვალობის მიმართაც მოუწოდებს და მოითხოვს პროკურატურა დაინტერესდეს, რამდენად არსებობს შერჩევითი პრინციპი, როდესაც ტენდერებში გამარჯვებული კომპანიის ხელმძღვანელი პირები მინისტრთან დაახლოებული პირები არიან, ხოლო დამოუკიდებელი მოთამაშეები, სახელმწიფო ტენდერების მიღმა რჩებიან. ორგანიზაცია, ამ თვალსაზრისით, ყურადღებას დაუთმობს, ცნობილ შემთხვევას, რა დროსაც, თავდაცვის სამინისტროს არასაცხოვრებელი შენობების რეკონსტრუქციასა და კაპიტალურ რემონტს განახორციელებს შპს „არქიტექტურული ბიურო" (ს/ნ 404393483), რომლის ერთ–ერთი დამფუძნებელი და დირექტორი, თამარ ვალიშვილი, ირაკლი ალასანიასთან დაახლოებული პირია. ამასთან, არსებობს კითხვები, თავდაცვის სამინისტროს კიდევ ერთ ტენდერში, თუ რამდენად დასაბუთებულად ვერ მიიღო გამარჯვება კომპანია „დელტაკომმა", რომლის დამფუძნებელი, IBED–ის პარტნიორი, „კავკასიის განვითარების ფონდია".

გაცნობებთ, რომ „ახალგაზრდა ადვოკატებმა", არა ერთხელ მიმართეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, რათა დროულად მომხდარიყო გადაწყვეტილებები სფეროში არსებული საკადრო, საორგანიზაციო და სისტემური პრობლემების დარეგულირებისთვის, თუმცა სამინისტრომ ორგანიზაციას ინსტიტუციური დიალოგის ფორმატში თანამშრომლობაზე უარი განუცხადა. ორგანიზაცია, რომელმაც 2013 წლის მანძილზე, საჯარო გახადა შეიარაღებულ ძალების ლოჯისტიკის სფეროში არსებული დარღვევები, სურვილის მიუხედავად, ვერ აღმოჩნდა იმ არასამთავრობო ორგანიზაციათა სამუშაო ჯგუფში, რომელიც თავდაცვის სამინისტროს შემადგენობაში შეიქმნა.

„ახალგაზრდა ადვოკატები" მიმართავს საქართველოს მთავარ პროკურატურას, რათა ორგანიზაციის მიმართ მოწოდებულ იქნეს შემდეგი სახის ინფორმაცია:

ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

ღირსება
თავისუფლება
თანასწორობა

Non-Profit Human Rights NGO Young Barristers

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "ახალგაზრდა ადვოკატები" www.barristers.ge

1. საქართველოს მთავარ პროკურატურაში, მიმდინარეობს თუ არა საქართველოს თავდაცვის სამინისტროში, 2013–2014 წლის განმავლობაში, ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტებთან დაკავშირებით, გამოძიება?
2. რა ეტაპზეა გამოძიების მიმდინარეობა და რა გონივრულ ვადებს საჭიროებს პროკურატირა ბრალის გამოკვეთისთვის ან/და საქმეზე შედეგების გაცნობისათვის?
3. საქართველოს მთავარ პროკურატურაში, მიმდინარეობს თუ არა საქართველოს თავდაცვის სამინისტროში, 2013–2014 წლების პერიოდში გამოცხადებული სახელმწიფო ტენდერების კანონიერების შესწავლის საკითხი. რა ეტაპზეა, ამ მიმართულებით, კომპანია „დელტაკომის" საქმე?
4. გთხოვთ, გამოხმაურება მოგვეწოდოს გონივრულ ვადებში.

პატივისცემით,

არჩილ კაიკაციშვილი

ა/ო „ახალგაზრდა ადვოკატების"
თანადამფუძნებელი და ხელმძღვანელი

08 აპრილი, 2014
ქ. თბილისი

Tbilisi, Georgia, Saburtalo, Vazisubani str. #7 551 081803
pryoungbarristers@gmail.com; pryoungbarristers@yahoo.com

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საქართველოს მთავარი პროკურატურა
Ministry of Justice of Georgia
Office of the Chief Prosecutor of Georgia

KA011369292826214

გორგასლის ქ. 24, თბილისი 0114, ტელ./ ფაქსი: +(995 32)2 405 142
24, Gorgasali str., Tbilisi 0114, Georgia. Tel/Fax: +(995 32)2 405 142

E-mail: international@justice.gov.ge
www.justice.gov.ge www.psg.gov.ge

№ 13/29631

09 / მაისი / 2014 წ.

ა/ო „ახალგაზრდა ადვოკატები"-ს თანადამფუძნებელსა
და ხელმძღვანელს ბატონ არჩილ კაიკაციშვილს

ქ. თბილისი, ვაზისუბნის ქ. N7

551 081803

ბატონო არჩილ,

საქართველოს მთავარმა პროკურატურამ განიხილა თქვენი 2014 წლის 08 აპრილის N155 განცხადება, რომლის პასუხადაც გაცნობებთ შემდეგს: საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს თავდაცვის სამინისტროში, 2013-2014 წლებში ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტთან დაკავშირებით. წინასწარი პროგნოზირება იმისა, თუ რა ვადა იქნება საჭირო ბრალის გამოსაკვეთად, გამოძიების ამ ეტაპისათვის შეუძლებელია.

საქართველოს მთავარ პროკურატურაში ასევე მიმდინარეობს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ, 2013-2014 წლებში გამოცხადებული სახელმწიფო ტენდერების კანონიერების საკითხის შესწავლა. რაც შეეხება კომპანია „დელტაკომი"-ს საქმეს, აღნიშნული კომპანიის განცხადებას ადევს გრიფი „საიდუმლო". შესაბამისად, მოკლებული ვართ შესაძლებლობას მოგაწოდოთ ინფორმაცია.

პატივისცემით,

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის
უფროსი

ირაკლი ჩილინგარაშვილი